# საერთო გაზეთი

№21 (479) • 6 ივნისი, 2018წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი




**„ბატონო ზაზა,** როდის უნდა მიხვდეთ თქვენ, რომ თქვენთვის საბედისწერო და ქვეყნისთვის უაღრესად სახიფათო შეცდომას უშვებთ, როცა პოლიტიკურ ნაძირალებს და პოლიტიკურ პროსტიტუტკებს, მკვლელებს და ბანდიტებს აყენებინებთ თავს და ქართველი ხალხის დიდ უმრავლესობას უპირისპირდებით, რომელმაც თავის თავზე გამოსცადა არაადამიანური სისასტიკე იმ რეჟიმისა, რომლის წარმომადგენლებიც თქვენ თანამოაზრეებად და თანამებრძოლებად აირჩიეთ“.

„ხელისუფლებას მოვუწოდებთ: იმოქმედოს რადიკალურად, როგორც ხელისუფლებას შეჰფერის! დაამყაროს კონსტიტუციური წესრიგი საკუთარ ქვეყანაში; რა „ხელშეუხებლობის“ იმუნიტეტი იცავს კუპრავას და მისნაირ გარეწრებს, ანდა სხვა რომელ სახელმწიფოში „ითმენენ“ ასეთ რამეს? ჩვენ რა გვჭირს? ყველა შარლატანის და სააკაშვილის გამონაყოფი „ნარატივების“ – რატიანების თუ შალიკო-მელიების მოთხოვნაზე ხელისუფალების და პარლამენტების გამოცვლა წარმოუდგენელია! ამნაირად არანაირი ქვეყანა არ აშენდება!“





„ქართული ოცნების“ გაურკვეველმა ქცევამ, ნაცების გვერდით უამრავი აღშფოთებული ადამიანი დააყენა. ზაზა სარალიძე ამ აღშფოთების ასაფეთქებელ ნაპერწკლად იქცა და მისი მოთხოვნები გასცდა ყოველგვარ რეალიზმს.
თუ ეს მარაზმი გაგრძელდება და ამ ტრაგედიის გამოყენებას „ნაცები“ და მათი მოკავშირეები ხელისუფლებაში მოსვლისთვის გამოიყენებენ, მზად უნდა ვიყოთ კონტრზომებისათვის.
იმისთვის არ გვიბრძოლია, რომ ამ კაციჭამიებს ახალი სისხლის გუბეები დავაყენებინოთ.“

# ღია წერილი ზაზა სარალიძეს

ბატონო ზაზა, უპირველეს ყოვლისა, გულწრფელ თანაგრძნობას გიცხადებთ იმ ტრაგედიის გამო, რაც თქვენ და თქვენს ოჯახს დაატყდა თავს. თუმცა ამასთან ერთად გვაქვს კითხვები, რომლებიც არა მარტო ჩვენ, არამედ მთელ საზოგადოებას აწუხებს.

ბატონო ზაზა, როდის უნდა მიხვდეთ თქვენ, რომ თქვენთვის საბედისწერო და ქვეყნისთვის უაღრესად სახიფათო შეცდომას უშვებთ, როცა პოლიტიკურ ნაძირალებს და პოლიტიკურ პროსტიტუტკებს, მკვლელებს და ბანდიტებს აყენებინებთ თავს და ქართველი ხალხის დიდ უმრავლესობას უპირისპირდებით, რომელმაც თავის თავზე გამოსცადა არაადამიანური სისასტიკე იმ რეჟიმისა, რომლის წარმომადგენლებიც თქვენ თანამოაზრეებად და თანამებრძოლებად აირჩიეთ.

**ქართველი ხალხი გულწრფელად თანაგიგრძნობთ თქვენ, ბატონო ზაზა და გულწრფელად იზიარებს თქვენს ტრაგედიას. ქართველ ხალხს, ისე, როგორც თქვენ, გულწრფელად სურს, დამნაშავეები და მათი მფარველები დაისაჯოს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქართველი ხალხი ქვეყნის აყირავების, სამოქალაქო დაპირისპირების და სახელმწიფო გადატრიალების უფლებას მისცემს ვინმეს, რომ ამის შემდგომ ხელისუფლების სათავეში კვლავ ის ფაშისტურ-კრიმინალური ძალები მოვიდნენ, რომლებმაც ცხრა წლის განმავლობაში სისხლსა და ცრემლში აბანავეს მთელი ქვეყანა.**

„ქართული ოცნების„ ხელისუფლება კი არა ქართველი ხალხი არავის დაუთმობს იმ ისტორიულ მონაპოვარს, რასაც „ნაცმოძრაობის“ რეჟიმზე გამარჯვება ჰქვია და ქვეყნის უკან, უკუნში და წყვდიადში შებრუნების უფლებას არავის მისცემს.

გაუგებარია, აუხსნელია, რატომ არჩიეთ თქვენ ქართველი ხალხის თანადგომას კუპრავას, მელიას, ვაშაძის, მაჭუტაძის, ქარდავას და მათნაირების თანადგომა?

გულუბრყვილობით და გამოუცდელობით მოგდით ეს ამბავი, თუ კიდევ არსებობს სხვა მიზეზები?

იქნებ, მართლა გჯერათ, რომ ეს პოლიტიკური პარტიები 10 ივნისს იმდენ ხალხს შეკრებენ, რომ მთავრობასაც გადააყენებენ და ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებსაც დანიშნავენ?

უტოპიაა ეს, წმინდაწყლის პროვოკაციაა, რადგან ეს არის ზღვარი, რომლის გადაბიჯება ნებისმიერ სახელმწიფოში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობად ითვლება და ამის გამკეთებლებს, კანონი მთელი სიმკაცრით მოსთხოვს პასუხს.

არ დაიჯეროთ, არ ირწმუნოთ ნაცების და მისი სატელიტი პარტიების დემაგოგია, თითქოს ისინი კონსტიტუციის ფარგლებში, კანონების დაცვით, მშვიდობიანი ფორმით აპირებენ ხელისუფლების შეცვლას.

**უნდა ვივარაუდოთ, რომ ისინი საპროტესტო ტალღის აგორების ფონზე რაღაც სისხლიან შეთქმულებას, სატანისტური მსხვერპლშეწირვის მსგავს რაღაც დიდ პროვოკაციას გეგმავენ, რომ ამით გამოიწვიონ საყოველთაო სახალხო მღელვარება და საწადელს მიაღწიონ.**



ფრთხილად იყავით თქვენ, ბატონო ზაზა, ჯვარი გწერიათ, მაგრამ თქვენ არ აღმოჩნდეთ ის მსხვერპლი, რომელსაც ნაცები კარგა ხანია, არჩევენ.

**არც ნაცები, არც ევრონაცები, არც ვაშაძენაცები, არც შალვანაცები, არც ნაცების ძუძუთი ნაკვები სხვა პოლიტიკური პარაზიტები, არავინ არ არის სხვა თქვენი დარდის და ტკივილის უფრო მეტად გამზიარებელი, ვიდრე „ქართული ოცნებაა“.**

მიუხედავად შეცდომებისა, მიუხედავად დაგვიანებული რეაქციებისა, მაინც ერთადერთი ეს ხელისუფლებაა, რომელიც გვერდით დაგიდგებათ და თქვენი შვილის მკვლელობის საქმეს ფარდას ახდის.

ეს ქვეყანა თქვენი სამშობლოა, ეს ქვეყანა თქვენი შვილების სამშობლოა, ეს ქვეყანა ყველა ჩვენთაგანის სამშობლოა და, ცუდია თუ კარგია, მაინც თვალისჩინივით უნდა მოვუფრთხილდეთ მას და ისედაც დაზიანებული კიდევ უფრო არ დავაზიანოთ — ესაა თითოეული ქართველის უპირველესი მოვალეობა, რომელსაც, დარწმუნებული ვართ, თქვენ შესანიშნავად აცნობიერებთ.

და ბოლოს: ბოდიშს გიხდით, რომ თქვენ, შვილმკვდარ მამას, ცოტა არ იყოს, მკაცრი ტონით გელაპარაკეთ, მაგრამ იმდენად ბევრი რამ არის შეგდებული ქვეყნის ყოფნა-არყოფნის სასწორზე, ვფიქრობთ, ენის მოჩლექით საუბრის დრო არ არის.

**„საერთო გაზეთი“**






„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# აბსურდის თეატრი, ანუ ვინ ჩააქშობს ზონდერების აჯანყებას ქართველი ერის წინააღმდეგ

**კობა არაბული:**

საზოგადოება აღშფოთებულია: რა არის ის, რაც ხდება რუსთაველზე, შვილმკვდარი მამა მძევლად რომ აიყვანეს და საკუთარი ბედისწერის უფსკრულში გადაჩეხეს…

ოთხი ტელევიზიის იერიში საზოგადოებაზე და ხელისუფლებაზე — სიცრუის ტირაჟირება, ილუზიური განცდა იმისა, თითქოს ხელისუფლებამ დაუხოცა ბავშვები მშობლებს და იგი უნდა ჩამოიშალოს?!

რა არის ეს? რუსთაველზე დღისით, მზისით, სააკაშვილის ზონდერები და გლდანის ციხის ვამპირები მიტინგზე მოსულ აჭრილ საზოგადოებას პირდაპირ სახელმწიფო გადატრიალებისკენ რომ მოუწოდებენ, უტიფრად შეურაცხყოფს და აბუჩად იგდებს ვინმე კუპრავა სამართალს, ხელისუფლებას, პარლამენტს… რა დაუსჯელობის სინდრომია, რა ძალის მიერ მართული და დაცულია ეს უზნეობა?!

გეტყვით: ეს არის ის, რასაც ჩვენ ვწერდით, რასაც ჩვენ ვიძახდით მთელი ხუთი წელიწადი: თუ არ დასჯი ბოროტებას, ის დაგსჯის!

„ბილწთ ზავით შეეკვრი?!“ ხალხი, ერი შემოგწყრება, გეტყვიან, „რატომ შვრებიო ამას?!“

ეს არის ყველაფერი გარედან თავსმოხვეული კოჰაბიტაციის შედეგი.

შეურიგდი, დაუზავდი „სატანის კუდებს?“ — ისინიც გამოძვრნენ სოროებიდან და გამოვიდნენ მზეზე გამთბარი გველებივით და პირდაპირ გადმოვიდნენ იერიშზე!..

ეს არის ის, რასაც ხალხური სიბრძნე (მითი) გვასწავლის (და გვაფრთხილებს!): არ გაუშვა დევის თავიდან ამომძვრალი ჭიები, თორემ გველეშაპებად იქცევიან და შთანგთქავენ!“ ასე დაემართა ამირანს, ის შთანთქა მისი შეწყალებული ბოროტების „მიგრმა“ და დღესაც მის მუცელშია..

●

ჩვენ გეუბნებოდით, რომ (ხალხს და ხელისუფლებას) არ გვაქვს არც ერთი სატელევიზიო არხი, ყველა „იმათია“, იმ სატანების, იმ ანტიქრისტეების; მათ აპიარებენ, მათ ბოროტებას აღაზევებენ და აზვავებენ… სახელმწიფოს, ხელისუფლებას, ერის მორალს და ზნეობას კი ანგრევენ!

რწყილს აქლემად აჩვენებენ, ატყუებენ და აბითურებენ (ნაცარს აყრიან) საზოგადოებას, აცდენენ და აზომბებენ ახალგაზრდობას.

აშანტაჟებენ ხელისუფლებას!

საქმე იქამდე მივიდა, რომ ზონდერების აგორებული „პარადით“ ლამობენ ქვეყნის დანგრევას! ხალხი შეურაცხყოფილია:

ზონდერი კუპრავას კარნახით მიდის მთავარი პროკურორი თანამდებობიდან. საიდან მოიყვანა „ქართულმა ოცნებამ“ ასეთი ულიმღამო პროკურორი. არაერთი ხელისუფლების პროკურორს მოვესწარი, მსგავსი რამ არ მინახავს, ყველას საკუთარი „ენერგეტიკა“ ჰქონდა!

●

სამწუხაროდ, ამ ნაცისტ-ზონდერების მძევლად იქცა შვილმოკლული მამა, რომელზეც ვერაფერს იტყვი — მას შვილი მოუკლეს!

მაგრამ მისი შვილი ხომ მისივე თანატოლმა ბავშვებმა მოკლეს; მოკლეს სადისტურად, დაუნდობლად! ახლა ზონდერი კუპრავას მიტინგზე რომ გაჰკივიან: „არ მომკლა!“ და სახელმწიფოს ჩამოშლას და ხელისუფლების გადადგომას ითხოვენ! ამ ბნელ პიარს აყოლილი, სრულიად გაუცნობიერებელი ახალგაზრდობა, რომელსაც არ ესმის, რას ნიშნავს ისედაც ოკუპირებული, ძლივს ფეხზე წამომდგარი სახელმწიფოს (და ხელისუფლების) ჩამოშლა! ეს არის ყველაზე ავაზაკი და „შეფუთული“ მტრის იდეა: ქვეყნის ერთხელ კიდევ ჩამოშლა, რომ აღარაფერი დარჩეს საქართველოსგან!..

ახალმა თაობამ უნდა გააცნობიეროს, თუ რა ხიფათი (კატასტროფა) ელოდება მთელ ერს მათი ამ უპასუხისმგებლობით!

იგივე ეხება (მოეთხოვება) მშობლებსაც:

ბავშვებმა ერთმანეთი მოკლეს და ისინი არ მოუკლავს ხელისუფლებას გირგვლიანების, რობაქიძეების, ვაზაგაშვილებისა და სხვა ასობით ახალგაზრდის მსგავსად, ქუჩებში რომ ხვრეტდნენ და მორგებში წამებით ხდიდნენ სულს და მერე მიცვალებულებზეც „მოროდიორობდნენ“!

მსგავსი რამ ამ ხელისუფლებას არ გაუკეთებია!

ჩვენ კი გამოვდივართ და მოკლულ ბავშვებს სააკაშვილის რეჟიმის მსხვერპლთ ვადარებთ?! პარლამენტის სვეტებზე რომ ვაწერთ” „არ მომკლა!“ეს სადაური მორალი და სიცრუეა, რა ტიპის არამზადობაა!?..

●

მოვუწოდებთ ხელისუფლებას:



აღასრულეთ სახელისუფლო ფუნქცია!

მოიქეცით ისე როგორც ერდოღანი მოიქცა და იქცევა, თუნდაც როგორც ამერიკის პრეზიდენტი ტრამპი (ისინი „საინფორმაციო“ ველის გასწორებას ახერხებენ)!..

თუნდაც, როგორც ბელარუსის პრეზიდენტი იქცევა, რომელმაც ჩაახშო ლიბერასტული ანკლავების და ტელევიზიების იერიში საზოგადოებაზე და ქვეყანა გადაარჩინა!

საზოგადოებას გაუჩნდა კატეგორიული მოთხოვნა:

დაიჭირეთ დასაჭერი და უთხარით გაუბედურებულ სარალიძეს: „აი, აჰა, ესეც დაჭერილია!“

როდემდე უნდა ვუყუროთ ამ ზონდერებს? ამ იდიოტების იდიოტურ მიტინგებს, წარამარა ბოდიშს რომ ახდევინებენ ხელისუფლებას და თან უტიფრად აფურთხებენ! ამოუვიდა ყელში საზოგადოებას სახელმწიფოს უსუსურობა და უმოქმედობა მათ მიმართ!

●

ხელისუფლებას მოვუწოდებთ: იმოქმედოს რადიკალურად, როგორც ხელისუფლებას შეჰფერის!

დაამყაროს კონსტიტუციური წესრიგი საკუთარ ქვეყანაში;

მე არ ვიცი, რა „ხელშეუხებლობის“ იმუნიტეტი იცავს კუპრავას და მისნაირ გარეწრებს, ანდა სხვა რომელ სახელმწიფოში „ითმენენ“ ასეთ რამეს? ჩვენ რა გვჭირს?

ყველა შარლატანის და სააკაშვილის გამონაყოფი „ნარატივების“ — რატიანების თუ შალიკო-მელიების მოთხოვნაზე ხელისუფალების და პარლამენტების გამოცვლა წარმოუდგენელია! ამნაირად არანაირი ქვეყანა არ აშენდება!

●

რაკი სამართალს ითხოვენ, თავად სამართალდამრღვევნი და მათი დამქაშები და, ბუნებრივია, საზოგადოებაც, ხელისუფლებამ დააპატიმროს სააკაშვილის რეჟიმის ყველა დამნაშავე, ვინც ადამიანებს წაართვა სიცოცხლე, ღირსება, ქონება, დაუნგრია ოჯახები და პირადი ცხოვრება — კერძო საკუთრება…

ვინც ქვეყანა გაყიდა და რუსეთს ჩააბარა, გამოცხადდეს მოღალატედ და აიკრძალოს ერთი კანონით საპარლამენტო უმრავლესობის მიერ!

თორემ კუპრავა და მისი მძევალი სარალიძე და სარალიძის უბედურებაზე მობმული ნაცების ხროვა პარლამენტის დაშლასაც ითხოვს.

გაუშვით სადაც ჯერ არს, ყველა „ზონდერი“ მოსამართლე, პროკურორი და სახელმწიფო მოხელე, იმ ავბედითი რეჟიმის მონაწილე და მოზიარე!

„კოაბიტაცია“ და ზნეობრივი ძალადობა იქცა დღევანდელი ბაქჰანალიის მიზეზად. ეს ასეა და ჩვენ ამას ვლაღადებდით იმთავითვე!

როდესაც ნარკომან-ლიბერასტთა და „გადაბრუნებული“ სქესის (გენი) სექტანტთა მიტინგებს, მაგალითად, ჰოლანდიის ელჩი მართავს, ეს ელჩიც იმათ უნდა გააყოლო პედერასტთა „ქვეყანაში“! როდემდე უნდა გვეშინოდეს, როდემდე უნდა იყოს ხელისუფლება ამ წაჯექ-უკუჯექობაში?!

●

ხელისუფლებას მოვუწოდებთ: აისხით „აბჯარი თქვენ საომარე…“ და „იშიშვლეთ მახვილები“ ერისა და სახელმწიფოს დასაცავად, მორალის და სამართლის აღსადგენად, თქვენივე ღირსებისთვის. რატომ არ აბრუნებთ გლდანის ციხის ზონდერებს უკან, რუსთაველზე რომ „აპოკალიფსობენ“ და „ჩამოშლას“ გიქადიან… ამით მხოლოდ ხელისუფლება არ ინგრევა, ქვეყანა დგება შეუქცევადი კატასტროფის წინაშე.

გთავაზობთ, თქვენ თვითონ (ხელისუფლებამ) მოუწოდეთ ერს და მოიხმეთ, ვიდრე დრო არს, სრულიად საქართველოს რჩეულ კაცთა დარბაზი, უხუცესთა გილდია, ჰკითხეთ მათ და შეცვალეთ სწრაფად და რადიკალურად, რაც შესაცვლელია!

თორემ ისევ ჩამოდგება „სააკაშვილისეული სისხლის წვიმების“ დრო. ხომ ვხედავთ, როგორ იქცევიან ეს „ზონდერი ნაცები“ (ვაშაძეები, მელიები, რატიანები, კუპრავები, რურუები, მათი ტელევიზიები და ასე შემდეგ), რა კაციჭამია გიენები, რა სადისტი-ბარბაროსები, თაღლითი არამზადები არიან?! შვილმოკლული ოჯახების უბედურებითაც კი სპეკულირებენ და საკუთარი ბნელი ამბიციებისთვის იყენებენ!

მივმართავ ახალგაზრდებს, რომლებიც ზონდერი კუპრავების მიტინგზე მივიდნენ:

ვის უჯანყდებით, სახელმწიფოს? სააკაშვილის დროს მისი რეჟიმი გვხოცავდა, არ ინდობდა არც მოხუცებს და არც ახალგაზრდებს, გვახსოვს სახურავზე შემოდებული გვამებიც!

ახლა თქვენ თავად ხოცავთ ერთმანეთს? ხომ ასეა? საკუთარ თავს რატომ არ უჯანყდებით? საკუთარ წინდაუხედაობას, სარალიძის ცრუ ქომაგი ზონდერი ნაცების ბრჭყალებში რომ აღმოჩნდით?! ვერ გრძნობთ, თქვენდა უნებურად, ნაციონალურ ხროვას და რეჟიმს რომ აცოცხლებთ? თუ თქვენ თქვენს ამ შეცდომებს და „გადახრას“ არ გაასწორებთ, ეს ქვეყანა მართლა დაიღუპება! ზოგი რამ თქვენს მშობლებს და უფროსებსაც ჰკითხეთ და დაუჯერეთ: კარგად ისწავლეთ „ვეფხისტყაოსანი“ და ის გადაგარჩენთ, თორემ სახიფათოა თქვენი მოქმედება, ხელისუფლებისთვის კი არა, ქვეყნისთვის!

**რეზიუმესთვის ვიტყვი:** საზოგადოებაში მუსირებს აზრი და არის იმისი შეგრძნება, რომ ვიღაცას გარედან სურს ამ ხელისუფლების „გაყვანა“ და ისევ „იმათი“ შემოყვანა.

ხელისუფლებას აშინებს ვიღაცა გარედან (როგორც დათვი ცხვრის ფარას) ზღუდავს მისი მოქმედების თავისუფლებას, უფრო მყარად სვამს „კოაბიტაციის“

თუ გარედან დაგეგმილია ხელისუფლების ჩანაცვლება კვლავ ნაცებით, ან მათი ფორმალური გამონაყოფებით – ჩვენ ქართველი ერი და საზოგადოება ამას არ დავუშვებთ, თუნდაც სიცოცხლის ფასად.

ეს უნდა იცოდნენ იმათ, საიდანაც იმართება ეს ყველაფერი!



# ვინ აფარებს ხელს 51-ე სკოლის დირექტორს მანანა თურქაძეს?



## მთავარი პროკურორი გადადგა, მთავრობის გადადგომას მოითხოვენ, მაგრამ რატომ არავინ ითხოვს იმ სკოლის დირექტორის გადადგომას, სადაც ეს საშინელი ტრაგედია დატრიალდა?

განაჩენის თანახმად, 16 წლის დავით სარალიძის მკვლელის ვინაობა დღემდე უცნობია. პროკურატურის მუშაობით უკმაყოფილო დავით სარალიძის მამამ მოსახლეობას თანადგომისა და ქუჩაში გამოსვლისკენ მოუწოდა. საპროტესტო აქციების ტალღას ქვეყნის მთავარი პროკურორის ირაკლი შოთაძის თანამდებობიდან გადადგომა მოჰყვა.

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ 2017 წლის 1 დეკემბერს 51-ე სკოლის საპირფარეშოში დაწყებული და ხორავას ქუჩაზე ტრაგედიით დასრულებული ინციდენტის ერთ-ერთი მთავარი ფიგურანტი სასჯელაღსრულების სამინისტროს გენინსპექციის ყოფილი უფროსის და პროკურატურის თანამშრომლის მირზა სუბელიანის შვილია. მოვლენებს თუ ქრონოლოგიურად მივყვებით, კონფლიქტი 51-ე სკოლის საპირფარეშოში დაიწყო. შელაპარაკება პნევმატური იარაღიდან 14 წლის ა.სუბელიანის მიმართულებით რეზინის ტყვიების სროლას მოჰყვა. ამ დროს საპირფარეშოში ორი მეცხრეკლასელი და ოთხი მეთერთმეტეკლასელი იმყოფებოდა. სავარაუდოდ, მანდატურმა ხმაური გაიგო და ბავშვებს შენიშვნა მისცა, რის შემდეგაც გადაწყვიტეს, რომ ურთიერთობა სკოლის გარეთ გაერკვიათ. სუბელიანმა, რომელიც უფროსკლასელებისგან გარკვეულ ზეწოლას განიცდიდა, დახმარების თხოვნით თავის მე-12 კლასელ, რაგბისტ დეიდაშვილს მიხეილ კალანდიას დაურეკა, რომელიც პირველ ექსპერიმენტული სკოლის მოსწავლე გახლავთ. ამ უკანასკნელმა კი საქმის გარჩევაზე გაყოლა მეგობრებს თხოვა. საბოლოოდ, ხორავას №4-ში ოცზე მეტმა მოზარდმა მოიყარა თავი.

როგორც ირკვევა, მირზა სუბელიანი და თენგიზ კალანდია ქვისლები არიან. მათი ცოლები ბორის კაკუბავას შვილები თეა და ლელა კაკუბავები არიან. ერთ-ერთი ქვისლი თენგიზ კალანდია თავის ორ შვილთან ერთად პროკურატურამ პასუხისგებაში მისცა, როცა მეორე ქვისლი, მირზა სუბელიანი არც დაუკითხავს. სწორედ ამან გააჩინა ეჭვი, რომ გამოძიება არასწორი მიმართულებით წარიმართა და საქმის ფაბრიკაციით სწორედ მირზა სუბელიანია დაინტერესებული. ეჭვს ისიც ამლიერებს, რომ სუბელიანს თანამდებობრივი მდგომარეობის გამო საქმეზე ხელი მიუწვდებოდა და სურვილის შემთხვევაში, შეეძლო ოჯახის წევრებისთვის ალიბის შექმნა შეეძლო. მის მიმართ არსებული ეჭვების გასაქარწყლებლად, სუბელიანმა სამსახურიდან გათავისუფლების განცხადებით მთავარ პროკურორს მიმართა, თუმცა მოგვიანებით გაჟღერდა ბრალდება, რომ სუბელიანი პროკურატურას შს ყოფილი მინისტრის ვანო მერაბიშვილის საკნიდან გაყვანის კადრებით აშანტაჟებდა, რასაც სუბელიანი კატეგორიულად უარყოფს.

მ. სუბელიანი: „არ ყოფილა ისე, რომ მე ვიღაც გადამემალა. ჩემი შვილი პირველივე წუთებიდან მივიყვანე საგამოძიებო ორგანოებში და მისი დაკითხვით დაიწყო ეს სისხლის სამართლის საქმე. მირჩევნია, მე ვიყო მკვდარი და ეს ბავშვები ცოცხლები.. დანარჩენი ჩემთვის მეორეხარისხოვანია. 2014 წლიდან მას შემდეგ, რაც გენერალური ინსპექციის უფროსის პოსტიდან წამოვედი, გამოძიებასთან არანაირი შეხება არ მქონია. არანაირი კადრები, არავითარი მერაბიშვილის გაყვანა და არაფერი გარდა იმისა, რომ დევს ჩემი დასკვნა, რომ მერავიშვილის საკნიდან გასვლა არ ყოფილა“.

სისხლიან გარჩევის მონაწილეთა ოჯახის წევრები კონფლიქტის მიზეზად 51-ე სკოლაში არსებულ არაჯანსაღ გარემოს ასახელებენ. მათი თქმით, სკოლაში აკრძალული ნივთების ტარება, „ფულის შეწერა“ და ბულინგი ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

„რუსთავი 2“-თან ინტერვიუში ბორის კაკუბავამ განაცხადა, რომ კოინფლიქტი მკვლელობამდე დიდი ხნით ადრე დაიწყო და ამის მიზეზი მის მე-9 კლასელ შვილიშვილზე განხორციელებული ძალადობა გახლდათ. ექსპარლამენტარის თქმით, მოძალადეები მის შვილიშვილს ფულს სძალავდნენ, ამცირებდნენ და უნიტაზში თავს აყოფინებდნენ და სკოლა ამ პროცესს ვერ აკონტროლებდა.



რამდენიმე დღის წინ ადვოკატმა ირაკლი ზაქარეიშვილმა ფეისბუკზე სკანდალური პოსტი გამოაქვეყნა, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ: „დავინტერესდი, თუ რატომ არ უდგანან მხარში ზაზა სარალიძეს დანარჩენი მშობლები, რატომ არავინ თანამშრომლობს გამოძიებასთან მისი შვილის მკვლელობის საქმეზე და რატომ დარჩა გამწარებული მშობელი ბრძოლაში მარტო. როგორც ამბობენ, ზაზა სარალიძის შვილი სისტემატიურად ძალავდა ფულს ბავშვებს და ამ საქმეში განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა. ამბობენ, რომ ის იყო ტიპიური მჩაგვრელი — ე.წ. კუნთიანი ბეზპრედელშიკი და აბიჟნიკი, რომელიც ბავშვების უმეტესობას სძულდა და ყველას ყელში ჰყავდა ამოსული. მის მიმართ ჩადენილ სისასტიკეს სწორედ აფექტის ამ მაპროვოცირებელ მოცემულობას უკავშირებენ“.

ზემოთ თქმული სიმართლეა თუ მკვლელების მხარდასაჭერად შეთხზული ვერსია, გამოძიებამ უნდა დაადგინოს, თუმცა მოზარდების მკვლელობას რომ არაფერი ამართლებს, ისედაც ცხადია. ცხადია ისიც, რომ 51-ე საჯარო სკოლის დირექცია სკოლაში მიმდინარე პროცესებს ვერ აკონტროლებდა და სკოლის საპირფარეშოში 1 დეკემბერს მომხდარი ინციდენტი ერთეული შემთხვევა არ გახლდათ.

1 დეკემბერს ხორავას ქუჩაზე 16 წლის ლევან დადუნაშვილისა და დავით სარალიძის სასტიკი მკვლელობის შემდეგ განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა მოზარდთა ძალადობისა და ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლა სამინისტროს პრიორიტეტად გამოაცხადა და სპეციალისტების, ფსიქოლოგებისა და მშობლების ჩართულობით, ფართომასშტაბიანი კამპანიის დაწყება დააანონსა, თუმცა დაიწყო თუ არა ეს კამპანია, უცნობია.

ერთ-ერთ ინტერვიუში 51-ე სკოლის დირექტორი **მანანა თურქაძე** ადასტურებს, რომ 1 დეკემბერს სკოლაში არ ყოფილა, რასაც შვებულებაში ყოფნით ხსნის. ჩვენი ინფორმაციით კი საქმე სრულიად სხვაგვარად გახლავთ. იმ ავბედით დღეს სკოლაში არც 51-ე და არც პირველი ექსპერიმენტული სკოლის დირექტორი იმყოფებოდა, სადაც მკვლელობისთვის გასამართლებული მოსწავლეები სწავლობდნენ. მანანა თურქაძე და ხათუნა ბარაბაძე შვებულებაში კი არა მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგების ჩასატარებლად იმყოფებოდნენ.

იცოდა თუ არა განათლების სამინისტრომ, რომ მკვლელობის დღეს სკოლების დირექტორები სამსახურში არ იმყოფებოდნენ? რა თქმა უნდა იცოდა, რადგან სკოლის დირექტორის სამუშაო საათებში ტრენინგებზე მივლინება სწორედ სამინისტროსთან შეთანხმებით ხდება. სავარაუდოდ, ამიტომ არავის უფიქრია დირექტორების პასუხისმგებლობაზე, მაშინაც კი, როცა თანამდებობა მთავარმა პროკურორმა დატოვა და ზაზა სარალიძის მხარდამჭერ აქციაზე მთავრობისა და პრემიერ მინისტრის გადადგომის მოთხოვნები გაისმა.

შეიძლება ვიღაც იკითხოს, რა მნიშვნელობა აქვს დირექტორის სკოლაში ყოფნა-არყოფნასო და ძალიან შეცდება. დავიწყოთ იმით, რომ სწორედ დირექტორი ხელმძღვანელობს სკოლაში მიმდინარე სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს. შესაბამისად, კონფლიქტის შემთხვევაში, დირექტორს ბავშვები ქუჩაში კი არ უნდა გაეშვა, სკოლაში მშობლები უნდა დაებარებინა და ბავშვები მათთვის გაეყოლებინა.

ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის თანახმად, სკოლა ვალდებულია შექმნას ჯანმრთელობის სიცოცხლისა და საკუთრებისათვის უსაფრთხო გარემო სასკოლო დროს, აგრეთვე სკოლის ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე. იმავე მუხლის მე-8 თავის მიხედვით, მოსწავლე სკოლის ტერიტორიაზე დაცული უნდა იყოს არასათანადო მოპყრობის, უყურადღებობისა და შეურაცხყოფისგან. კანონის მე-20 მუხლის თანახმად, დაუშვებელია სკოლაში ძალადობა მოსწავლის ან ნებისმიერი სხვა პირის მიმართ. ფიზიკური ან სიტყვიერი შეურაცხყოფის შემთხვევაში სკოლა ვალდებულია დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. 33- მუხლი უზრინველყოფს სასკოლო დროს სკოლის ტერიტორიაზე მყოფი მოსწავლის უსაფრთხოება.

დარღვეული იყო თუ არა 51-ე სკოლაში კანონის ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნები და შეეძლო თუ არა სკოლის დირექციას ტრაგედიის თავიდან აცილება, მშობლებმა, მოსწავლეებმა და ჩვენმა მკითხველმა განსაჯონ. თავის დროზე, როცა განათლების სამინისტრომ პედაგოგიური განათლების მქონე პროფესიონალებზე უარი თქვა და სკოლის მართვა მენეჯერებს გადააბარა, ვწერდით, რომ ეს შეცდომა სკოლის უსაფრთხო გარემოზე და ზოგადად, მოსწავლეთა დისციპლინაზე აისახებოდა. იმასაც ვამბობდით, რომ მოსწავლეთა დისციპლინასა და უსაფრთხოებაზე ზრუნვა მთლიანად მანდატურებს და პოლიციას არ უნდა გადავაბაროთ და პასუხისმგებლობა სისტემამაც უნდა აიღოს. გვახსოვდეს, ბავშვები პირად მაგალითს შეგონებებზე მეტად ენდობიან, ამიტომ როცა მოზარდს პასუხისმგებლობისკენ მოვუწოდებთ, თავადაც ამის მაგალითი უნდა ვაჩვენოთ..

**ნელი თორდია**
571 35 36 88

# ვინ აფინანსებდა პარლამენტის წინ გამართულ აქციებს?

მაშინ, როცა საპარლამენტო უმრავლესობა დაეთანხმა ხორავას ქუჩაზე მომხდარი ტრაგედიის შემსწავლელი საპარლამენტო კომისიის შექმნას, ოპოზიციამ, რომელიც ამ კომისიის არსებობას მოითხოვდა, თავისი მოთხოვნა უკან წაიღო. მიზეზად კი ძალიან სასაცილო (თუ შეიძლება ასეთი ფაქტის არსებობისას სასაცილოდ მოგვეჩვენოს რამე) მოტივი დაასახელა: ჩვენ არა გვყავს ისეთი იურისტები პარლამენტში, რომლებიც შეძლებენ ძირფესვიანად გამოიძიონ ეს საქმე. გამოვიდა, რომ როცა ოპოზიცია კომისიის შექმნას ითხოვდა მოკლული ბავშვის მამას ატყუებდა! თუმცა ამ „დეტალს“ სარალიძემ ყურადღება არ მიაქცია და უკვე შოთაძის გადადგომის შემდეგ, მან ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნა გააჟღერა. საპარლამენტო უმცირესობის დარად, სარალიძემაც შეცვალა „პირველი ჩვენება“ (ისე, როგორც მკვლელობის მოწმეებმა შეცვალეს ჩვენებები), თუ შოთაძის გადაგომამდე მისთვის მთავარი იყო გამოძიება და შოთაძის გადადგომა, გადადგომის შემდეგ სარალიძე უკვე შვილის მკვლელების დასჯას მეორე მოთხოვნად აყენებს და მთავრობის გადაყენებას ითხოვს. ამ მოთხოვნის შემდეგ აქციაზე მიდის პრემიერ მინსიტრი, სარალიძე მას ხვდება, გადაეხვევა და უკვე „ტრიბუნასთან“ მისული, როცა დაინახავს რომ პრემიერს მიმართულებით შუშის და პლასტმასის ბოთლების „წვიმა“ წამოვიდა, ხმას აღარ იღებს. პრემიერის წასვლის სემდეგ, სარალიძე მეორე დღეს, უკვე აცხადებს რომ ის მთავრობის გადადგომას კი არ ითხოვს მხოლოდ, მისი სურვილია სისტემა შეიცვალოს.

ეს ყველაფერი, თქვენც იცით, ჩვენო მკითხველო, თქვენ ისიც იცით, რომ სარალიძის წინ და უკან, ასეთი დაბნეული სიარული უკავშირდება მხოლოდ და მხოლოდ ამ ეგრდწოდებული არაპოლიტიზირებული აქციის ეგრედწოდებულ ორგანიზატორს, ვინმე ზვიად კუპრავას. დღეის მონაცემებით დასკვნა ასეთია – კუპრავას უნდა სახელი და მოიპოვა ეს, ყველა ჟურნალისტი მას სთხოვს კომენტარს. კუპრავას უნდა იყოს ჭკვიანი ბიჭი და მოიპოვა ეს სახელი – სარალიძემ თქვა ჩემი მეგობარია და თან გამომძიებელიო. კუპრავას უნდა ფული და ხსნის სასტიკად მოკლული ბავშვის დავით სარალიძის ფონდს, თან აცხადებს რომ ფონდის გახსნამდე ყულაბას დადგამს აქციაზე და ივანიშვილს სთხოვს მთელი ქონება ჩვენს ყულაბაში ჩადეო, მანამდე კი ხალხს ეუბნება დაგვაფინანსეთ და ყავას და სიგარეტს ვიყიდითო. აი, სანამდე დავიდა სამართლიანობის და მკვლელების დასჯის მოთხოვნით დაწყებული აქცია.



სინამდვილეში ვინ აფინანსებს კუპრავას და რა ძალები დგას მის უკან?

დავიწყოთ იმით რომ გამოძიება წესიერად რომ წარმართულიყო, გამოძიებას ხალხი რომ ჩაეყენებია საქმის კურსში და ეთქვათ ფაქტი – საქმის გამოძიების ერთი ნაწილი, სამი პირის მიმართ დავასრულეთ და სასამართლოს უნდა გადავსცეთ იმიტომ რომ არასრულწლოვნებს უკანონოდ ვერ გავაჩერებთ საქმის მთლიანად გამოძიების დასრულებამდეო, – აქამდე არ მივიდოდით!

გამოძიებას რომ არ დაეშვა შემთხვევის ადგილის განადგურება (ფარდული აიღეს მესაკუთრის მოთხოვნით), დღეს ვერავინ იტყოდა რომ მტკიცებულებები გამქრალია. ყველამ იცის, საგამოძიებო მოქმედებები რომ ამოიწურება, შემთხვევის ადგილს ლუქს ხსნიან, მითუმეტეს როცა ის კერძო საკუთრებაა. აი, ვთქვათ ლუქი მოეხსნათ ფარდულისთვის და არ გაენადგურებიათ, საინტერესოა ასეთ შემთხვევაში რას იტყოდა დაზარალებული მხარე?



გამოძიებას თავი რომ შეეწუხებია და „ზედმეტი“ ორი სიტყვა მიეწოდებინა საზოგადოებისთვის, დღეს ეგრედწოდებულ საპროტესტო აქციაზე, მხოლოდ ნაცები იდგებოდნენ და სხვა არავინ!

ახლა ამ აქციაზე, უკვე აშკარად პოლიტიკურზე დგანან შვილმკვდარი მშობლები, რომელთა შვილების მკვლელობის საქმეები პროკურატურამ რატომღაც ვერ ან არ გამოიძია და დგანან ნაცები, რომლებსაც სხვების შვილები სულ არ აინტერესებთ, მათ თვაისი მიზნები აქვთ – ხელისუფლების გადატრიალება. აქვე აღსანიშნავია, რომ სააკაშვილმა ზუსტად იგივე მოთხოვნების გამო დაარბია მიტინგი და ბადრი პატარკაციშვილი სახელმწიფო გადატრიალების მცდელობისთვის გამოაცხადა ძებნილად. სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის ბრალდებით შეკერეს „ყინწვისის საქმე“ და ა.შ.

დღეს სააკაშვილის ნაცხროვა იგივე მოთხოვნებით გამოდის, რა მოთხოვნებიც ამ ხროვის ხელისუფლებაში ყოფნის დროს ჰქონდა მაშინდელ ოპოზიციას, მაგრამ დღეს ეს ოპოზიცია ხელისუფლებაშია და არავის აკავებს ხელისუფლების გადატრიალების მოთხოვნით, ამ შემთხვევაში ისმის კითხვა – რატომ?

დღემდე არავის მოუთხოვია პასუხი არც ნიკა გვარამიასთვის, რომელმაც აქციაზე მისულ ქალს აგინა! არც იმ ქალბატონისთვის რომელმაც მსუბუქად, მაგრამ მაინც სცემა აქციაზე სიტყვით გამომსვლელი გოგონა, რომლის მოსაზრებაც ეგრედწოდებულ ლიდერებს არ მოეწონათ! პასუხი არ მოუთხოვიათ არც იმ ადამიანებისთვის, ვინც გზა გადაკეტა ამ უსანქციო მიტინგომანიით და მოახდინა ქალაქის პარალიზება!

ახლა მთავარი: მართალია, კუპრავა ფულს აგროვებს, ფონდის გახსნამდე ყულაბას დგამს ქალაქის ცენტრში, მაგრამ უკვე ცალსახად ნათელია რომ ამ „მოძრაობას“ ნაციონალები უდგანან უკან. ვინ, რომელი შტო შეიძლება ეს იყოს? ყველა ერთხმად იტყვის – სააკაშვილი. დიახ, მაგრამ თავად სააკაშვილი არა, ესეც ფაქტია. ვის აქვს ფული სააკაშვილის ხროვაში? ყველას! მაგრამ ჩვენთვის მოწოდებული ინფორმაციით მხოლოდ ორი წყარო კოდუა და კეზერაშვილი სახელდება. საქმე ისაა, რომ ერთ-ერთი ბრალდებულის სააზლობლო, რომელსაც არავინ ახსენებს კეზერაშვილის „სასტავის“ შემადგენლობიდან, ანდა ვის ვის და მათ ყველაზე მეტად აინტერესებთ ეს აქცია, ოღონდ მინუს სარალიძე, თუმცა არც სარალიძე არ ახსენებს არსად იმ ბრალდებულს და აქცენტი მხოლოდ სუბელიანზე აქვს გადატანილი. ისიც ცნობილი ფაქტია, რომ კეზერაშვილსა და სააკაშვილს შორის შავმა კატამ დიდი ხანია გაიარა და კეზერა ახლა გიგა ბოკერიას „პირად შემადგენლობას“ აფინანსებს. დასაშვებია თუ არა, რომ კეზერას და სააკაშვილის ინტერესის გადაკვეთის გამო, მათი გაერთიანება? დასაშვებია, მაგრამ აქ შეიძლება კოდუა მიშას ფლანგში, კეზერა კი ბოკერიას ფლანგში თამაშობდეს. ბოკერია ამ შემთხვევაში წინაა, საქართველოშია და არც ჩანს არსად, არც არავის აქვს ეჭვი რომ ის შეიძლება ამ ყველაფრის უკან იდგეს. სააკაშვილი გაშიფრულია, მას უკავშირდება თუ არა, მაინც ახსენებენ. ამიტომ ბოკერიასთვის ახლა ხელსაყრელი დროა!



რა დარჩება ამ ფონზე დაზარალებულს, რომელმაც იმ ბავშვის მამაც კი გაიმეტა გასალანძღად, რომელმა ბავშვმაც მისი შვილის დაცვას შეწირა თავი. ყველამ იცის, რომ ამ ჩხუბში დადუნაშვილი შემთხვევით მოხვდა, დაიანახა ცემდნენ სარალიძეს, მივიდა, გაშველება სცადა, მკვლელს ხელში კი არა ზედ დანაზე სწვდა და მიუხედავად იმისა დანამ ხელები დაუჭრა, მაინც ცდილობდა სარალიძისთვის აეცილებინა დარტყმა, სწორედ ამ დროს მოკლეს ის. სარალიძის მამამ კი ერთი სიტყვაც არ თქვა როცა მისი შვილის სიცოცლისთვის მოკლულ დადუნაშვილის მამას, აგენტი უწოდა ერთმა მოჟურნალისტო თავად აგენტმა!

დავიწყებას მიეცა ის ფაქტი, როცა მკვლელობის დღეს თუ მეორე დღეს სუბელიანმა თავისი შვილი პოლიციას ჩააბარა და თავად უფლემბამოსილება შეიჩერა. სარალიძეს კი მხოლოდ სუბელიანზე რატომ აქვს აქცენტი გადატანილი, ცოტა უცნაურია, მითუმეტეს რომ მან ძალიან კარგად იცის, რომ გამოძიებამ დაკითხა ასევე ბრალდებული ჯანაშია, მისი მამა და ბიძა. თუ ამ პირებს კარგად გამოვიკვლევთ, მივხვდებით ვინ დგას კუპრავას უკან, უბრალოდ, სარალიძე რატომ დუმს ეს არის გასაკვირი...

**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30

## გრიგოლ გაგნიძე:

# ნაციონალები სახელმწიფო გადატრიალებას გეგმავენ



***გვესაუბრება ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორიის დამფუძნებელი, გრიგოლ გაგნიძე.***

**— ბატონო გრიგოლ, ფაქტობრივად, ემოციურ ტალღაზე შეიკრიბა საზოგადოება, თითქოსდა დავით სარალიძის მკვლელები გაამართლესო. რა მოხდა სინამდვილეში?**

— საზოგადოებაში წარმოიშვა აზრი, რომ პროკურატურა არაადეკვატურად იქცეოდა და ამიტომ გენერალური პროკურორი თანამდებობიდან უნდა გადამდგარიყო.

ეს იყო პროვოკაცია და თვით აქციაც იყო პროვოკაცია, რადგან სასამართლოზე არავინ გამართლებულა.



ამ ხნის განმავლობაში აშკარად იყო საუბრები, რომ ზაზა სარალიძე „ნაცმოძრაობის“ საბურთალოს რაიონის კოორდინატორი იყო თავის დროზე.

„ნაცმოძრაობა“ სულ ცდილობდა, გირგვლიანის თემასთან დაეკავშირებინა სარალიძის ტრაგედია, მაგრამ ეს არ გამოვა. ხალხი მშვენივრად ხედავს, რომ მაშინ იყო სისტემური პრობლემა. პოლიცია თვითონ ხოცავდა ადამიანებს. გირგვლიანიც, გამცემლიძე, ვაზაგაშვილი, რობაქიძე და 200 მეტი ადამიანი პოლიციელების ხელით გარდაიცვალა. ამჟამად კი რიგით კრიმინალურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, რომელიც ტრაგიკულად დასრულდა.

შვილმკვდარ მამას კი არა, ნებისმიერ ადამიანს ვუსამძიმრებ, რომელიც კრიმინალის ხელით მოკვდება, მაგრამ პოლიტიკური განცხადებები, მთავრობა გადადგესო და ა. შ. არ უნდა ყოფილიყო აქციის მოტივი. თავიდანვე ჩანდა ის მუხტი, რაც გაჩნდა პროკურატურასთან, რომ მომიტინგეები არ დაიშლებოდნენ მხოლოდ პროკურორის გადადგომით.

აქციაზე „ნაცმოძრაობის“ წინაამდეგ უკმაყოფილება ვინც გამოთქვა, ქალბატონები ნაციონალებმა გინებით და შეურაცხმყოფელი სიტყვებით გააძევეს იქიდან.

ახლა ნაციონალები საზოგადოების მართვას ცდილობენ და ამბობენ, რომ მხოლოდ მათი ჯალათები არიან სამართლიანობის აღმდგენები და ისინი თუ მოვლენ ხელისუფლებაში, თვითონ დაადგენენ სამართალს.

პირველი გეგმა, წიქარიშვილისა და „ბასიანის“ დაპირისპირება ჩაუვარდათ, წამოიწყეს მეორე ტალღა და ამჯერად, პრინციპულად ცდილობენ, იგივე შეცდომები არ დაუშვან და, ალბათ, ამიტომაც არ დაალაპარაკეს პრემიერი შეკრებილ საზოგადოებას.

**კიდევ ვიმეორებ, „ნაცმოძრაობა“ აქტიურად ცდილობს, რაც შეიძლება მეტად წამოაგოს პროვოკაციაზე ხელისუფლება, რომ, მათი აზრით, გამეორდეს 26 მაისი ან 7 ნოემბერი, რომ სამართლებრივადაც, ასე ვთქვათ, გადატეხოს ხელისუფლება.**

**— „ნაცმოძრაობა“ შეძლებს პროვოკაციების მოწყობას და მიზნის მიღწევას?**

— „რუსთავი-2“-ზე რამდენიმე დღის წინ დავით უსუფაშვილი გამოვიდა და ჩემდა გასაკვირად და მოსაწონად, „ნაცმოძრაობის“ წევრებს მიმართა: რა გინდათ, რას მოელით და რა მიზანი გაქვთ, პირდაპირ თქვით, ხელისუფლებაში მობრუნება გინდათო? ესენი შეცდომებს კი უშვებენ, მაგრამ თქვენ რასაც აკეთებდით, იმის გათვალისწინებით, თქვენ კი არ უნდა მობრუნდეთ ხელისუფლებაში, არამედ ახალი ძალა უნდა მოვიდესო.

თეა წულუკიანმა განაცხადა, მთავარი პროკურორის გადადგომა მართლმსაჯულებისთვის არასასურველი ნაბიჯი იყოო და იქვე მოუწოდა პროკურორებს, თავიანთი საქმიანობა მოტივირებულად გააგრძელონ სახელმწიფო სამსახურში რაც მორალურად, ვფიქრობ, სწორი იყო. პროკურორატურის დისკრედიტაცია რომ არ მოხდეს, ეს განცხადება აქეთკენ იყო მიმართული.

მოკლედ, არასახარბიელო ვითარებაა და თუ ხელისუფლებამ, „ნაცმოძრაობის“ ასე ვთქვათ, ჭკუაზე გაიარა, სამართლიანობის აღდგენა ვერ მოხდება. ნაცები თავიანთ „სამართლიანობაზე“ აცხადებენ პრეტენზიებს, „ნაცმოძრაობის“ მიერ დაზარალებული ხალხი სამართლიანობის აღდგენას ითხოვს და თუ ასე გაგრძელდა, შეიძლება პირიქით მოხდეს. შეიძლება, „ნაცმოძრაობამ“ მოითხოვოს სამართლიანობის აღდგენა იმათთვის, ვისაც თვითონ ჩათვლიან დაზარალებულად, თუ მათ მიერ დასახელებული კანდიდატი გავიდა პროკურორის თანამდებობაზე.

გენერალური პროკურორი შესაბამისი სამსახურებიდან უნდა დაინიშნოს, რადგან მათი პრობლემა თავად უფრო იციან, თორემ, აბა, ოთო კახიძე ან მათ მიერ მოწონებული რომ პროკურორად დანიშნონ, რა მოხდება, თვითონაც მშვენივრად მიხვდებით.

ოპოზიციის მიერ შეთავაზებული კანდიდატი მთლად დაანგრევს სტრუქტურას.

**— როგორ ფიქრობთ, უნდა გადამდგარიყო ირაკლი შოთაძე?**

— საქმე იმაშია, რომ ირაკლი შოთაძის გადაწყვეტილება ჰუმანურად გამართლებული გახლდათ. მან განაცხადა, არც ერთი ადამიანის სიცოცხლე არ ღირს თანამდებობის ფასადო. სწორი იყო მისი განცხადება.

**— აქციებმა პოლიტიკური ხასიათი მიიღო. ფიქრობდით, რომ ასე განვითარდებოდა მოვლენები?**

— წიქარიშვილის და მისი ამფსონების მიერ ორგანიზებული აქციები რომ ჩაუვარდათ, ნაცები საჯაროდ ნანობდნენ და ახალი ტალღა აგორდა. პირველი დღეებიდანვე ვფიქრობდი, და სოცქსელებში განცხადებებსაც ვაკეთებდი, ვიცოდი, ესენი ასე ადვილად აღარ გაჩერდებოდნენ და იმ „შეცდომებს“, რაც წინა აქციისას დაუშვეს, ამჯერად უფრო მასშტაბურ ხასიათს მისცემდნენ აქციებს. პირდაპირ ვწერდი ამას ფეისბუქზე.

როგორც კი სასამართლო დამთავრდა, გინება დაიწყო ფოიეში: გაამართლეს დამნაშავეებიო. მერე კი, როცა ინტერვიუები მისცეს მედიასაშუალებებს, იქ განაცხადეს — სასამართლო სწორად მოიქცა, მაგრამ პროკურატურამ სისუსტე გამოიჩინაო.



**ზვიად კუპრავა** და მისი მეგობრები გაჰკიოდნენ ამას.

ზვიად კუპრავა კი, მოგეხსენებათ, „ნაცმოძრაობის“ გენპროკურორის **ზურაბ ადეიშვილის** პერიოდში საპატრულო პოლიციის თანამშრომელი იყო, რომელიც გარკვეული დარღვევების გამო 2012 წლის შემდეგ გაათავისუფლეს სამსახურიდან.

რაც შეეხება **ნიკოლოზ გვარამიას**, ყველამ კარგად ვიცით, ვინც არის და რაც არის. ისიც გაჰკიოდა მიტინგზე. ამიტომ, ცხადია, სარალიძის სახელით გამართული მიტინგი პოლიტიკური იყო.

ბავშვების მკვლელები უნდა დაისაჯონ, ამაზე არავინ კამათობს, თუმცა ყოფილი სისხლიანი რეჟიმის წარმომადგენლებთან ერთად რომ ითხოვენ სამართალს, ეს შეცდომაა.

**— როგორც უფლებადამცველს, გკითხავთ: ამ აქციების თავიდან აცილება შესაძლებელი იყო?**

— როგორც უკვე გითხარით, პირველი საპროტესტო ტალღა ჩაუვარდათ და ახლა წამოაგორეს თემა, რომელიც მეტად მტკივნეული იქნებოდა საზოგადოებისთვის. ნაციონალებმა მშვენივრად განსაზღვრეს, რომ ამ აქციას სხვა კატეგორიის ხალხიც შეუერთდებოდა.

კარგი იქნება, ზაზა სარალიძე საბოლოოდ თუ გაემიჯნება ნაციონალებს და თავად იბრძოლებს მისი შვილის მკვლელების დასასჯელად.

პირველ ხანებში, სანამ სასამართლო გადაწყვეტილება გაჟღერდებოდა, ბატონი სარალიძე აცხადებდა, თუკი დამნაშავეები არ დაისჯებიან, „მალალეტკების“ ომი დაიწყება და ჩემი შვილის მეგობრები სისხლს აიღებენო.

გამოდის, რომ ბავშვებს აქეზებდა დანაშაულისკენ.

შე კაი ადამიანო, თუ შენი შვილის მეგობრებმა იციან. ვინ არის მკვლელი, დაასახელონ, რომ დაისაჯოს დამნაშავე.

ათეულობით ბავშვიდან რამდენიმემ ითანამშრომლა გამოძიებასთან, არ ითანამშრომლეს მოკლული სარალიძის მეგობრებმა და არც ზაზა სარალიძეს მოუწოდებია მათთვის, თქვენი ძმაკაცის მკვლელები დაასახელეთო. დარწმუნებული ვარ, სარალიძემ მშვენივრად იცის, ვინ არიან მისი შვილის მკვლელები, მაგრამ არ ამბობს, ამიტომ დიდი ალბათობაა, ის გააფრთხილეს და უთხრეს, არ ეთქვა არაფერი მკვლელების შესახებ, ოღონდ დრო გაეწელათ და გაეგრძელებინათ აქციები პოლიტიკური მოსაზრებით.

„ნაცმოძრაობას“ პირდაპირ ვადებ ხელს, ისინი ცდილობენ ახალგაზრდები დაუპირისპირონ ხელისუფლებას და სახელმწიფო გადატრიალება მოწყონ.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# მთავრობა კი არ უნდა გადადგეს, მთავრობა უნდა გაისარჯოს და სიმართლე გვითხრას!

ქეშას ბლოგი



კუპრავას და სხვა ნაცებს, გააქვთ და გამოაქვთ, გადადგეს მთავრობაო...

გადადგა შოთაძე და რამდენ ხანს უნდა ველოდოთ შემცვლელს, ერთად ვნახოთ...

მთავრობა კი არ უნდა გადადგეს – მთავრობა უნდა გაისარჯოს და სიმართლე უნდა გვითხრას, თუნდაც, მასვე ავნოს ამ სიმართლემ – არ აქვს სხვა გზა, ამჯერად, მართლა არ აქვს სხვა გზა.



რა ჰქნას შვილმკვდარმა მამამ, ხო, ვინც დაუდგა გვერდით, იმათთან ერთად იბრძვის.

მივიდა კონტრაქციაზეც, მივიდა და დააყარეს და ეტიპნენ: ნაცებთან ერთად რომ დგეხარ, ვერ იდექი კიდევ 6 თვე მარტო, ვერ დაგველოდე, ადრე, თუ გვიან, ჩვენც შემოგიერთდებოდითო.

იდგა კონტრაქცია და ნაცებს ლანძღავდა – 5 წლის წინ გადაყენებულ, 5 წლის წინ გაშვებულ ნაცებს ლანძღავდა.

5 წლის წინ გავუშვით ნაცები ხელისუფლებიდან, კიდევ რომ „პარადი" მიჰყავთ ქვეყანაში – ამას მარტო მე ვხედავ და მხოლოდ მე მიკვირს? კიდევ რომ ყველაფერი ნაცების ბრალია – ამის მოსმენა და თქმა, უნდა გვსიამოვნებდეს, თუ უნდა გვწყინდეს, ნეტავი?

ასე მგონია, ისევ ნაცები არიან ხელისუფლებაში და ყველა კითხვაზე პასუხი ისევ ნაცებს უნდა მოვთხოვო.

ქვეყანა ქვეყანას აღარ ჰგავს, ეს დღეები...

დეკანოზმა შიო მენაბდემ, კურთხევას მხოლოდ საპატრიარქოს ტელევიზიის ყურებისას გაძლევთ, სხვა არხებს ნუ უყურებთ, პანდორას ყუთია ეგენიო...

კი, აბა რა, დეკანოზო, იქნებ იმიტომ, რომ ყველა სხვა არხი თქვენი შვილის შესაძლო მონაწილეობაზე საუბრობს, ამ სისხლიან გარჩევებში?

იქნებ იმიტომ არ გინდათ, რომ მოვუსმინოთ ტელევიზორს, რომ ეს სამარცხვინო ფაქტი არ გინდათ გახმაურდეს თქვენს შვილზე?

ყველა მოზარდი გაქცეულა შემთხვევის ადგილიდან, ყველა მოზარდს მიუტოვებია დაჭრილი მეგობრები, სასიკვდილოდ დაჭრილი მეგობრები მიატოვეს და გაიქცნენ მამიკოებისა და დედიკოების კალთებისკენ.

თქვენმა შვილმა პირველს თქვენ დაგირეკათ, როცა გამოიქცა და დატოვა სისხლიანი მეგობრები სასიკვდილოდ, თუ დედას?

სად ისწავლა სისხლისგან დაცლილი მეგობრების ქუჩაში დატოვება თქვენმა შვილმა, დეკანოზო, თქვენგან ისწავლა, თუ საპატრიარქოს ტელევიზიიდან?

ოჯახიდან რომ დაგეწყოთ ერის აღზრდა, არ იქნებოდა ურიგო.

ეს დღეები, ხშირად მესმოდა ისიც, რომ დათო სარალიძე ჯაბნიდა, თურმე კლასელებს და უფროსს კლასელებს – არ ყოფილა ასე, როგორც ახლა ჩვენებების გამოძიეურებიდან გახდა ცნობილი.

როგორი უღირსი მცდელობაა, მოკლულ ბიჭს გადააბრალო, საკუთარი სიკვდილი.

ან, როგორ მოერეოდა, უბრალო ბიჭი სარალიძე, დეკანოზისა და პროკურორის ვაჟებს?

ამ ქვეყანას ხომ მღვდლები და პროკურორები მართავენ, არ ახალია ეგ ამბავი. სად მოერეოდა გლეხის ბიჭი – ძლიერთა ამა ქვეყნისა? ვერც მოერია...

შემეძლო გადამემალა ჩემი შვილი უცხოეთში, არ გამიჭირდებოდა, ბევრი კონტაქტი მყავს იქ, მაგრამ არ გადავმალეო, დეკანოზმა.

არ გადამალეთ, დეკანოზო, მართალია, უცხოეთში ბევრი კონტაქტი გყავთ, მაგრამ საქართველოში დიდი კონტაქტები გყავთ და რატომ გადამალავდით.



სად იყავით დეკანოზო 6 თვე? რატომ აქამდე არ მოგვიყევით, თავად რატომ არ მოგვიყევით, ამ ფაქტის შესახებ?

შვილმკვდარი მამა მოსულა თქვენთან და როგორც ამბობთ, რჩევა მიგიციათ, შურისძიება მართლმადიდებლური არ არისო, განიკითხავთ ახლა – აფთრებთან ერთად დგასო.

მიხვედით და გამოგაგდეს, დეკანოზო? მიხვედით წმინდანები და არ მიგიღეს? აფთრებთან ერთად კი არა, იუდასთან ერთად იყოფდა უფალი ლუკმას – გრცხვენოდეთ!

თქვენ ვინ ხართ, რომ გაჭირვებულ კაცს, გვერდზე მდგომს ურჩევდეთ და განიკითხავდეთ, როცა იესომ მიიღო იუდა?

შურისძიებაა სიმართლისთვის ბრძოლა, დეკანოზო?

ისევ ბიბლიიდან შეგახსენებთ: ეკლესიაში გადააყირავა დახლები იესომ – ნუ გადამიქცევთ ეკლესიას სავაჭრო სახლადო.

ეკლესიაში არ მოერიდა სამართლის აღდგენას, ამიტომაც აქციეს ზურგი გაზულუქებულმა მღვდლებმა.



ხოდა, რა უფლება გაქვთ, თქვენ, მართლმადიდებელ მღვდელს, შვილმკვდარი მამის სამართლის ძიებას, შურისძიება უწოდოთ?

ვის ევაჭრებით ახლა, დეკანოზო? ვის ევაჭრებით და რას ევაჭრებით თქვენი შვილის თავისუფლების სანაცვლოდ?

სამარცხვინო ამბავი ხდება ქვეყანაში – ახლაგაზრდა ბიჭის მკვლელებს აფარებენ ხელს და ქვეყანა მაინც ნაცებად და ქოცებადაა გაყოფილი.

მღვდლებიც კი, მღვდლებიც კი ნაცებად და ქოცებად არიან დაყოფილნი!

რაკი მღვდლები, რაკი მართლები, რაკი არამკვლელები, რაკი კარგები და კეთილები აქციაზე არ გახვედით, რა ექნა სარალიძეს, სახლში წასულიყო და ჩუმად ეტირა თავისი დაღუპული შვილი, გულში მოეკლა აღუსრულებელი სამართალი?

რა ერი ვართ, ასე გაუტანელი, ასე აუტანელი, რომ შვილების სიკვდილიც ვერ გვაერთიანებს...

შვილების უღირსი გაქცევაც ვერ გვიხეთქავს გულს...

რა დროს პოლიტიკაა, რა დროს სკამი და ოპოზიციაა – არ ჩუმდება მამა, ხომ ხედავთ, არ ჩუმდება, თორემ, რომ გაჩუმებულიყო, ერთს ვიყაყანებდით და დასრულდებოდა, ხოდა, არ ჩუმდება, ვერ გააჩუმეს შვილმკვდარი მამა, არ მიდის სახლში სამართლის გარეშე – მიეცით სამართალი.

მიეცით სამართალი და გააჩუმეთ ნაცები, თუ თვლით, რომ ტყუილად აქეზებენ გულმოკლულ მამას.

მიეცით სამართალი მამას და მოგვეცით ჩვენ იმედი, რომ ჩვენი შვილები დაცულები იქნებიან ჩვენს ქვეყანაში!

555 46 08 04

# ეკლესია ვალდებულია, ღმერთზე აუგის მთქმელნი და ერის მოღალატენი ანათემას გადასცეს



***ინტერვიუ გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესიის წინამძღვართან მამა ბასილ მკალავიშვილთან.***

**— მამაო, როგორ აფასებთ მოვლენებს, რომლებიც საპატრიარქოს წინააღმდეგ მიმდინარეობს?**

— სახელითა მამისათა, ძისათა და სულისა წმიდისათა. ამინ. ჩვენთან არს ღმერთი.

საპატრიარქოზე რომ შეტევას მიიტანდნენ, ამას მე ორი ათეული წლის წინათ ხმამაღლა ვაცხადებდი, რამეთუ ერის ეკლესია (თუ, რა თქმა უნდა, დედა-ეკლესიის მოვალეობას ასრულებს) ბოლო ბასტიონია, რომელსაც უშუალოდ უფალი მართავს.

მე საპატრიარქოს ვაფრთხილებდი მოსალოდნელი განსაცდელის გამო და მოვუწოდებდი, ხმა აღემაღლებინათ მართლმადიდებლობის მტრების წინააღმდეგ, რამეთუ სარეველა ჩანასახში უნდა ამოძირკვო. თუ არა, ის ყოველივეს შთანთქავს. ეკლესიის მესვეურთ კი ეგონათ, რომ საპატრიარქოს ვერაფერს დაუშავებდნენ. შევატყვე რა, რომ მათ არაფერი ესმოდათ, 1995 წლიდან გამოვეყავი მათ, გადავწყვიტე, ჩემს მრევლთან ერთად მელოცა, უკომპრომისოდ მებრძოლა სარწმუნოების დასაცავად, ჩემი ერის ტრადიციების შესანარჩუნებლად. მოყოლებული 1990 წლიდან, ერთადერთი მღვდელი ვიყავი, ვინც მრევლთან ერთად სისტემატურად აქციებს ვაწყობდი თავისუფლების ინსტიტუტის, სოროსის ტელევიზიის, „რუსთავი-2"-ის, მთავრობის წინააღმდეგ სხვადასხვა მოთხოვნებით. გამოცხადებულიყო მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიად. მხოლოდ მე ვებრძოდი მსოფლიო ბნელ ძალებს, იმ დროს აქციებს ჩვენს გარდა არავინ მართავდა. მაშინ დუმდა სრულიად საქართველო, საპატრიარქოს კი ღრმად ეძინა. შედეგიც თვალწინ გვიდგას — დღეს საპატრიარქო ლანძღვაგინების ობიექტად იქცა, თუმცაღა თავად აძლევენ ამის საბაბს.

ტელეკომპანია „რუსთავი-2"-ის დირექტორი ნიკა გვარამია და საყურეებიანი ჟურნალისტი გიორგი გაბუნია სოროსის ყურმოჭრილი მონები არიან. გაბუნია ბრმად იყენებს სიტყვის თავისუფლების ცნებას. მისი აზრით, რაც ენაზე მოადგება, უნდა წამოროშოს. ამბობენ, გაბუნია სტიქაროსანი ყოფილა და რომ შეამჩნიეს მამაკაცური თვისებებიდან სერიოზული გადახრები, გაურიცხავთ ეკლესიიდან...

მინდა გითხრათ, რომ სხვა ტელევიზიებიც არაფრით ჩამორჩებიან „რუსთავი-2"-ს, მათი „სახელოვანი" ჟურნალისტებიც ერთიმეორეს ეჯიბრებიან მართლმადიდებელთა განქიქებაში. თითქმის ყველა შოუში იწვევენ სულგაყიდულებს — ლგბტ წარმომადგენლებს, უმეტეს დროსაც მათ უთმობენ, თანაუგრძნობენ კიდეც. ხოლო, რაც შეეხება ეკლესიას, მოიწვევენ მღვდლებს, რომლებიც სათანადო პასუხს ვერ მიაგებენ, ერთ სიტყვას მეორეს ვერ აბამენ. ვერ აურჩევიათ რედიკალური, მართებული პოზიცია, რომ უფლის შეურაცხმყოფელნი ანათემას გადასცენ ისე, როგორც ეს გააკეთა მეუფე იობმა. სწორედ საქართველოს ეკლესიის პრეროგატივაა, ღმერთზე აუგის მთქმელნი, ერის მოღალატენი ანათემით დასაჯონ.

**— მამაო, ამ ბოლო დროს მაღალი იერარქიის წარმომადგენლები ხშირად სტუმრობენ ამერიკას.თუ იცით, რა საქმე აქვთ იქ?**

— ისტორიული ფაქტებიდან ვიცით, კომუნისტები როგორ იბირებდნენ სასულიერო პირთ. სამწუხაროდ, უმრავლესობა შეკრულია მათთან, უფრო მეტიც, თანამშრომლობენ კიდეც და მათ ჩარჩოებს მიღმა ვერაფერს მოიმოქმედებენ.

ამჯერად ცოტა სხვანაირად არის საქმე. იქიდან გამომდინარე, რომ ახლა ჩვენი „გადამრჩენელი" ამერიკაა, სასულიერო პირთა მაღალი იერარქები ხშირად მიეახლებიან მათ. როგორც ეტყობა, ოკეანის გაღმელებმა ისე აურიეს ტვინი, მათ სულ სხვა თვალით იხილეს ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა.

თუ 2013 წლის 17 მაისს ერთად ვიდექით მართლმადიდებლობის დასაცავად, სამწუხაროდ, ეს ეპისკოპოსები სულ სხვანაირად „ჭიკჭიკებენ". თითქოს ისინი ლგბტ უფლებების დასაცავად იდგნენ. ეს საქციელი ხომ ქრისტეს გაცემაა, ეს საქციელი ხომ დიდი, შავი ლაქაა ეკლესიის ისტორიის ფურცლებზე. ნუთუ ქრისტეს სიყვარული გრანტებმა უნდა გადაწონოს?

**— მამაო, როგორც ვიცი, თქვენ პარლამენტის შენობის წინ, სადაც აქცია მიმდინარეობდა. ის ადგილი აკურთხეთ**

— ჩემო კარგო, მე ამას აქციას ვერ დავარქმევ, ის იყო ეგზალტირებულ, ზნედაცემულთა თავმოყრა.

ჩემი მრევლით რომ მივედი იქ, საშინელება ვნახე. მემორიალის შიგნით ეყარა სიგარეტის ნამწვავები, შპრიცები, კონიაკის ბოთლები და სხვა საშინელი ბინძური საგნები, რაც არ ითქმება და არც გაზეთში დაიწერება. მაშინ, როცა ამ წმიდათაწმიდა ადგილას კრძალვითა და მოწიწებით უნდა მივეახლოთ, რამეთუ ეს ადგილია საქართველოს ბედკრული ისტორიის ერთ-ერთი ტრაგიკული და უმძიმესი მოგონება.

გამაოგნებელი იყო იქ მყოფთა გარეგნული იერსახე, ჩაცმულობა, ვერ გაარჩევდი მამაკაცს ქალისაგან და პირიქით.

ამ საზარელი ფაქტის მომსწრემ, როგორც ღვთის მსახურმა, თავი ვალდებულად ჩავთვალე,



მეკურთხებინა მათ მიერ წაბილწული ადგილი.

მინდა აღვნიშნო, რომ მათი აღვირახსნილობა შედეგია გადამეტებული ტოლერანტობისა, კოჰაბიტაციის, ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებისა, რომელიც უდიდესი ნაღმია, რომელიც ნელ-ნელა აფრქვევს ანტიეროვნულ, ანტიმართლმადიდებლურ ბოროტ ქმედებებს, რათა წარხოცონ ერის იდენტურობა. შედეგია იუვენალური კანონების მიღების, რომელიც ძირს უთხრის ყოველივე ქართულს, წარხოცავს წინაპართა სისხლით ნაწერ ისტორიას.

უცხოეთიდან დაკვეთილმა კოჰაბიტაციამ ისე გააძლიერა სისხლისმსმელი სააკაშვილის დატოვებული ლეკვების ბანდა, სახელმწიფო მართვის სადავეებიც კი იგდეს ხელთ.

ანტიქრისტეს მოციქული ნანუაშვილის მემკვიდრე ისე გათავხედდა, ნანუაშვილს გაასწრო და უსირცხვილოდ აცხადებს, კონსტიტუციაში შეიტანონ ერთსქესიანთა სამოქალაქო პარტნიორობა.

ჩემო ერო, სადამდე უნდა გვეძინოს, ვერ ვხედავთ, რომ ყოველივე თავზე გვემხობა და რამდენიმე თაობის შემდეგ ქართული არაფერი შეგვრჩება?!

მინდა აღვნიშნო მეტად საგულისხმო ფაქტი: ჩვენ როცა თავგანწირული ვიბრძოდით სარწმუნოების დასაცავად, მთელი საქართველოს სამოქალაქო თუ საეკლესიო სპეცრაზმი ჩვენ დაგვდევდნენ დასარბევად. მაშინ დუმდა სრულიად საქართველო, სიტყვა არავის დაუძრავს ჩვენს დასაცავად. მოსალოდნელი უბედურება არავის სტკიოდა და დღეს, როცა ზნედაცემულთა ღამის ბუნაგები დაშალეს, მთელი მსოფლიო ფეხზე დადგა, უფრო მეტიც, ლგბტ არსებები, ეს ამორალურები ავტობუსებით მიჰყავთ დანიშნულების ადგილას, აქციას ატარებინებენ, ყარაულობენ და მერე კვლავ უკან ამიაბრძანებენ. აი, ცინიზმი...

**— მამაო, ამ დღეებში ჯერ გია ბარამიძემ გაგლანძღათ ტელეეკრანიდან, შემდეგ კი სააკაშვილმა საზღვარგარეთიდან, თავისივე ტელევიზიის პირდაპირ ეთერში**

— მიხეილ სააკაშვილი ანტიქრისტეს წინამორბედს წააგავს, რამეთუ მისი ქმედება ყოველგვარ ადამიანურ ზღვარს სცილდება, მაგრამ გარწმუნებთ, რაც არ უნდა დარაზმოს მამათმავალი კონგრესმენები, სოროსის ლეკვები, ვერაფერს მიაღწევენ, სატანა სააკაშვილი საქართველოში ტახტს მეტად ვეღარ დაიდგამს.

სააკაშვილი ბარამიძესთან ერთად ყოველდღიურ სატანურ რიტუალებს აღასრულებდნენ, როგორ უმოწყალოდ, დამამცირებლად ხოცავდნენ ხალხს ციხეებში თუ ქუჩებში. გავიხსენოთ, აკადემიკოსი გურამ შარაძის დახვრეტა ქალაქის გულში. მე მათ სატანური სექტის ლიდერებს ვუწოდებ.

საქმემან შენმან გამოგაჩინოს. ნებისმიერს შეუძლია მოვიდეს და ნახოს გლდანში ვეკუას ქუჩაზე გრანდიოზული ტაძარი, ეზო, მიმდებარე ტერიტორია ეკლესიის მსახურებთან ერთად გაკეთებული. სააკაშვილის თქმით, მე ბანდიტი ვყოფილვარ, თვითონ კი სახურავებზე მოხეტიალე, გზააბნეული. ვერ გაუგია, ვის მიეკედლოს, უწყინარი ბატკანი ყოფილა. თქვენ თავად დაარქვით სახელი ამ გარეწარის საქციელს.

**— მამაო, როგორ შეაფასებთ მოვლენებს, რომლებიც ამჟერად მიმდინარეობს პარლამენტის შენობის წინ.**

— ღვთის მსახური ვარ და თავს მოვალეთ ვთვლი, ვთქვა: რაც იქ ხდება, არც გლოვის ფორმაა და არც სამძიმრის. მოკრძალებით შევახსენებ ბატონ ზაზას, ნაადრევად წასული ბავშვის სულს სიმშვიდე სჭირდება, რათა დაიმკვიდროს ცათა სასუფეველი. ამას მხოლოდ ლოცვითა და ვედრებით მოვახერხებთ და არა ვინმემ მისი ტკივილი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენოს. საზოგადოება ხედავს: იქ დგანან ადამიანები, რომლებმაც ლომის წილი დადეს 26 მაისს რუსთაველზე უდანაშაულო ხალხის ჟლეტაში. ისინიც ხომ ვიღაცის შვილები იყვნენ...

**მე ხშირად ვაცხადებ და ახლაც ვიტყვი: ყოველგვარ დაძაბულობას, რაც ხდება და მოხდება, სააკაშვილისკენ მივყავართ. იმისთვის, რომ ის დაბრუნდეს საქართველოში, რამდენიმე გეგმა აქვს შემუშავებული. სწორედ ამიტომ სჭირდება არეულობა, პროცესები რომ უმართავი გახდეს.**

იქ შეკრებილთაგან ბევრი



გამომსვლელი გულისწყრომას გამოხატავდა ღამის კლუბების დარბევით, იყო მუშტების ქნევა, მუქარა, დედის გინებაც. ყოველივე ამას საერთო აქვს მომხდარ ტრაგედიასთან. სასურველია, ოჯახის ტრაგედიას ნუ გამოიყენებთ პოლიტიკური მიზნების განხორციელებისთვის. იქნებ, ნიკა გვარამიამ, რბილად რომ მოკალათებულა სოროსის ნაბოძებ სავარძელში და მორალს კითხულობს, დაითვალოს მისი პროკურორობის დროს რამდენი დანაშაული გამოუძიებია, როგორ აღუდგენია სამართალი, ამცნოს საზოგადოებას. „რუსთავი-2“-ელებო, სოროსელებო, გეშინოდეთ ღვთის რისხვისა!

**მივმართავ ბატონ ბიძინა ივანიშვილს!**

ბატონო ბიძინა, წინათაც გირჩევდით და ახლაც მოვიხდი ჩემს მოვალეობას ღვთის წინაშე. გამცნობთ, რომ სააკაშვილი თქვენს ლიკვიდაციას ამზადებს ისე, როგორც ჩამოიცილა ბადრი პატარკაციშვილი. ის თქვენ შემოგიგზავნით შენიღბულ „სანდო“ პიროვნებას, რომელიც ამ საშინელებას ჩაიდენს.

ბატონო ბიძინა, ჩვენ გვიხარია თუ გვტკივა, ყოველივე უფლისგან არს, ამიტომ გირჩევთ, დაუახლოვდით ღმერთს. ღმერთს მინდობილი ადამიანი კლდეზე მაგარია. უფლის ძალას ვერანაირი მატერიალური ვერ გადასწონის. რაც გვაბადია თუ გვაკლია, ისიც ღმრთისგან არს, ამიტომ, რათა დაცულ იქნეთ მოსალოდნელი განსაცდელისგან, მხოლოდ უფალს დაეყრდენით მთელი არსებით.

მოგიწოდებთ, დროზე ჩამოიცილეთ სააკაშვილის დარჩენილი წიწილები გია ბარამიძე — დაუნდობელი მკვლელი, მხედველობაში მაქვს სვანეთში მის მიერ უმოწყალოდ ამოწყვეტილი ოჯახი. მას მიაყოლეთ სოროსის შვილობილი, მართლმადიდებლობის დაუძინებელი მტერი გიგა ბოკერია, რომელმაც ციხის ბუნტის დროს რვა პატიმარი გამოასალმა სიცოცხლეს. თუ ეს სარეველები და მათი მესვეურნი არ ჩამოშორდებიან პოლიტიკას, საქართველოს გზა ხსნისა აღარ იარსებებს.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ: ჩვენ ვამაყობთ წარსულით, ვაივაგლახით ვინარჩუნებთ აწმყოს. რაც შეეხება მომავალს, ამას ნუ გახდით უცხოთა გადასაწყვეტად, ნუ ვაქცევთ ქართველ ხალხს ორიენტაციადაკარგულ, ზნედაცემულთა ვასალებად, ნუ გვექნება სხვისი იმედი, ჩვენი მხსნელი მხოლოდ ღმერთია.

გთხოვთ, ნუ დავამკვიდრებთ უძველესი ტრადიციების ქვეყანაში დასავლურ მანკიერ ჩვევებს. ჩვენ ხომ რუსთველის, ჭავჭავაძის, გოგებაშვილის, ვახტანგის, დავითის, თამარის და უამრავ სახელოვან მამულიშვილთა ფესვებიდან აღმოვცენდით.

გარწმუნებთ, თუ საქართველოში მეტ-ნაკლებად ყოველივე ადალაგდება, ჩვენი სამშობლო საოცნებო ქვეყნად გადაიქცევა.

ღმერთმა დაგლოცოთ!

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18



# „ვინც ღმერთმა შეაერთა, კაცი ნუ განაშორებს“

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ბოლო 10 წლის განმავლობაში განქორწინებათა რაოდენობა თითქმის ხუთჯერ გაიზარდა. მაგალითად, 2008 წელს ქვეყანაში 3189 განქორწინების შემთხვევა დაფიქსირდა, 2009 წელს ეს რიცხვი 4030-მდე გაიზარდა. მატება შეინიშნებოდა ყოველ მომდევნო წელს: 2010 წელს – 4726, 2011 წელს – 5850, 2012 წელს – 7136, 2013 წელს – 8089, 2014 წელს – 9119, 2015 წელს – 9112, 2016 წელს – 9539, 2017 წელს – 10222.

სპეციალისტების შეფასებით, განქორწინების მთავარი მიზეზი, მეუღლეების ღალატი, ეჭვიანობა და მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა გახლავთ, თუმცა იმასაც აღიარებენ, რომ საქართველოში ოჯახის ფენომენი აზრს კარგავს, როცა აღნიშნული საკითხი ევროპაში კარგად აქვთ გააზრებული.

ერთხელ, ნაცნობ ქალს ოტია იოსელიანისთვის უკითხავს რამდენჯერ შეიძლება ქალს მამაკაცი შეუყვარდესო. თხუთმეტჯერო- მიიღო პასუხად. მეთექვსტემედ რომ შემიყვარდესო?- უკითხავს ქალს. მეთექვსმეტე უკვე ბოზობაა ქალბატონო – უპასუხა მწერალმა.

ეს რა თქმა უნდა, ხუმრობით, სერიოზულად კი მართლმადიდებელი ეკლესია მორწმუნე ადამიანს სამჯერ ქორწინების უფლებას აძლევს, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუკი მისი მეორე ნახევარი გარდაცვლილია.

მართლმადიდებლური სწავლებით, ჯვრისწერა-ქორწინება შვიდ ქრისტიანულ საიდუმლოთაგან ერთ-ერთია და იესო ქრისტესა და ეკლესიის კავშირის სიმბოლოს წარმოადგენს. იესომ პირველსაწყისი ძალა დაუბრუნა სჯულს ქორწინების შესახებ და განქორწინება გადაჭრით აკრძალა: „ვინც ღმერთმა შეაერთა, კაცი ნუ განაშორებს“.

რომის კათოლიკური ეკლესია თავის მრევლს მხოლოდ ერთხელ აძლევს ქორწინების უფლებას. მეორედ ჯვრისწერისთვის საქმის საფუძვლიანად შესწავლა და პაპის სპეციალური ნებართვა არის საჭირო. რომაული და ებრაული ტრადიციისგან განსხვავებით, ქრისტიანული ტრადიციული მიდგომა ოჯახურ ერთგულებას როგორც ცოლის, ასევე ქმრის მხრიდანაც ითხოვდა, თუმცა ხელმეორედ ქორწინების თვალსაზრისით, მართლმადიდებელი ეკლესიის დამოკიდებულება გაცილებით უფრო ლიბერალურია.

1920 წელს შეიქმნა „დებულება საქართველოს ეკლესიისა ქორწინებისა და განქორწინებისთვის“, რომლის მიხედვით, ქორწინება დაშვებულია სამჯერ, თუმცა ხაზგასმით აღინიშნა, რომ მეორედ და მესამედ ქორწინებას განსაზღვრავს ეპისკოპოსი და არა მღვდელი.

მეორედ დაქორწინების უფლებას ეპისკოპოსი მხოლოდ იმ ადამიანს აძლევს, რომელსაც მეორედ ოჯახის შექმნის ობიექტური მიზეზები აქვს. განქორწინებას იმაზე მნიშვნელოვანი მიზეზი უნდა ჰქონდეს, ვიდრე ხასიათების შეუთავსებლობაა, რადგან „ვინც თავის ცოლს გაუშვებს სიძვის მიზეზის გარეშე და სხვას შეირთავს, მრუშობს“ (ლუკა 16,18) მღვდელმთავარმა განქორწინების მსურველ ცოლ-ქმარს დაშორების მიზეზი უნდა ჰკითხოს და თავისი ქადაგებით მათ შერიგებას ეცადოს. თუ დაშორება გარდაუვალია და ორივე მხარეს ამის მიზეზი აქვთ, მაშინ ქორეპისკოპოსი კურთხევას აძლევს, რომ ყოფილმა მეუღლეებმა მეორე ოჯახი შექმნან.

როგორც ზემოთ ვთქვი, ეკლესიამ გამონაკლისის სახით, მესამე ქორწინებაც დაუშვა, თუმცა გარკვეული პირობით: როცა ადამიანი ორჯერ დაქვრივებულია, არ ჰყავს შვილები და მისი ასაკი 40 წელს არ აღემატება.

ახლა კი იმაზე მოგახსენებთ, როგორ ხდება ჯვრის აყრა და ხელმეორედ დაქორწინება თანამედროვე ქართულ რეალობაში. საზოგადოება დიდი ხანია მიეჩვია მედიასაშუალებებში გავრცელებულ ცნობებს, რომ ამა თუ იმ ცნობილმა სახემ მეორედ, მესამედ, თუ მეხუთედ იქორწინა და ჯვარი დაიწერა. შესაბამისად, არც ის გამკვირვებია, როცა ხშირი ქორწინებებით ცნობილმა ქართველმა მსახიობმა თავისი ცხოვრების მორიგ მამაკაცთან ჯვარი დაიწერა და შემდეგ ასევე ხშირი ქორწინებების მოყვარულ მეგობარს მეჯვარედ გაჰყვა. ყველა ხვდებოდა, რომ ამ ჯვრისწერას ეკლესიის მხრიდან დაბრკოლება არ შეხვდებოდა და არც შეხვედრია..

რამდენიმე წლის წინ, ჩემი ახლობელი, სამი შვილის დედა, ქმარმა მიატოვა და მეგობარ ქალზე დაქორწინდა. არავინ იცის, როგორ მოახერხა წყვილმა საპატრიარქოში „საქმის მოგვარება“, მაგრამ როგორც ხშირად ხდება, მღვდელმთავრის მეუღლეებთან გასაუბრება და განქორწინების მიზეზების ძიება არც ამ შემთხვევაში ყოფილა – ყოფილმა ქმარმა უარყოფილ ცოლს საპატრიარქოს გაცემული თანხმობის ფორმა მიუტანა და ჯვრის აყრაზე თანხმობა კატეგორიული ტონით მოთხოვა. იმის ილუზია არ გვაქვს, რომ შეგონებებსა და მოწოდებებს გრძნობის რეანიმაცია შეუძლიათ, მაგრამ ღალატის, მრუშობისა და ფარისევლობისთვის ადამიანის ხელმეორედ ჯვრისწერის უფლებით დასაჩუქრებაც გაუგებრად მიგვაჩნია. ჩემს კოლეგა ნელი ვარდიაშვილს დავესესხები და ვიკითხავ, როცა ქალს ან მამაკაცს მეორედ და მესამედ წერთ ჯვარს, თუ ინტერესდებით, რატომ დაენგრა პირველი ოჯახი, რატომ არ იყო ერთგული პირველი და ერთადერთი ჯვრისწერის? ნუთუ არ იცით, რომ თქვენგან მეორედ და მესამედ ჯვარდაწერილთა უმეტესობა მრუში, ფარისეველი, მატყუარა და მოღალატეა? იქნებ იმაზეც გეფიქრათ, რომ ვიღაცისთვის ეკლესიის ასეთი დამოკიდებულება შეიძლება წამახალისებელ ფაქტორად იქცეს და წლობით ნაშენების დანგრევა გაუადვილოს?



ცნობილია, რომ ჯვრის აყრისა და ხელმეორედ ჯვრის წერის პროცესის გამარტივებას ბევრი სასულიერო პირი ნეგატიურად აფასებს და ამ საკითხზე ეკლესიის წიაღშიც აზრთა სხვადასხვაობაა, ამიტომ გავბედავ და ვიკითხავ – იქნებ, შექმნილ ვითარებაში უნებლიედ, საპატრიარქოც სცოდავს?

„ოჯახი არ არის უბრალო ინსტიტუტი, როგორც ხშირად ამბობენ. ეს არის ყოფიერების ის ფორმა, რომელიც ღმერთმა შექმნა. ჩვენ ვიცავთ ყველაზე ძირეულს. ოჯახთან და მის ღირებულებებთან ბრძოლა არის ღმერთთან ბრძოლა, ადამიანის ამაღლებასთან, მის განწმენდასთან“ – ბრძანა მეუფე შიომ თავის ქადაგებაში, რასაც ძნელია, არ დაეთანხმო, ამიტომ ოჯახის ინსტიტუტის შენარჩუნებისთვის ბრძოლა მართლმადიდებელი ადამიანის ერთ-ერთ უპირველეს მოვალეობად მიმაჩნია.

**ნელი თორდია**
571 35 36 88

# რატომ გადაწყვიტეს თბილისის მეტროპოლიტენის თანამშრომლებმა გაფიცვა?



გვესაუბრება მატარებლის მემანქანე, დამოუკიდებელი პროფესიული კავშირის „ერთობა-2013“-ის თავმჯდომარე **რატი კაპანაძე.**

მეტროს მემანქანეებს უმძიმეს პირობებში უწევთ მუშაობა, მემანქანის კაბინაში მუდმივად არის ელექტრომაგნიტური ველი, რადგან რელსებში 825 ვოლტი ძაბვა გადის და კაბინაც მთლიანად ელექტრული სქემებისგან შედგება, რაც ჯანმრთელობაზე უარყოფითად მოქმედებს, მოძრაობა გვიწევს გვირაბში და მის გარეთაც, გადასვლის რეჟიმი მხედველობას აქვეითებს. გარდა ამისა, არის მატარებლის მუშაობის თანმდევი ხმაური, რომლის სმენის ვალდებულებაც აქვს მემანქანეს, თუ რაიმე უცხო ხმაური შევნიშნეთ, შესაბამისი ზომები უნდა მივიღოთ, ავარია რომ არ მოხდეს, ამიტომ ხმაურს დაძაბული ყურადღებით ვუსმენთ. ამას ემატება გვირაბში არსებული მძიმე ჰაერი, რომელიც მავნე მინარევებით არის გაჟღენთილი, გვირაბის ვენტილაცია ძირითადად მატარებლების მოძრაობის ხარჯზე ხდება, ამიტომ ჟანგბადის რაოდენობა ძალზე მცირეა. მემანქანეები მუდმივად დაძაბულ მდგომარეობაში არიან, ერთი წამით ვერ მოადუნებენ ყურადღებას, რადგან



თითოეულ მათგანს ერთ გადასარბენზე დაახლოებით 1000 ადამიანი გადაჰყავს და მათზე პასუხისმგებელი მხოლოდ თვითონაა. მემანქანე გადასასვლელზე მსვლელობისას უნდა აკვირდებოდეს მატარებლის ნაპერწკლიანობას, ასევე სუნს, სპეციფიკური სუნის შემთხვევაში მყისიერად უნდა აღმოაჩინოს უწესრიგობა, მოახდინოს ხალხის ევაკუაცია, გაიყვანოს მატარებელი დეპოში ტექნიკურ შემოწმებაზე. ხშირია შემთხვევა, როცა მატარებელი გადასარბენზე ზიანდება, რაზეც პასუხისმგებელი მხოლოდ მემანქანეა, იქ ვერავინ ჩამოვა, რადგან გვირაბში მაღალი ძაბვაა. მან ძალზე ოპერატიულად უნდა იმოქმედოს, რადგან ერთ მატარებელზე არსებული პრობლემის შემთხვევაში, ყველა მატარებელი ავტომატურად ჩერდება. იგი სადგურში შესვლისასაც ძალზე კონცენტრირებული უნდა იყოს, სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ძალზე გახშირდა მეტროში სუიციდის ფაქტები. რვა საათის გავნმავლობაში ამ დაძაბულ რეჟიმში მუშაობა უკიდურესი დაღლილობას იწვევს და უარყოფითად მოქმედებს მემანქანის ჯანმრთელობაზე. ადრე კომისიები არსებობდა, რომლებიც შეისწავლიდნენ მავნე პირობებს, ხმაურს, ჰაერის დაბინძურების დონეს და ა.შ. სააკაშვილის ხელისუფლებამ ეს კომისია საერთოდ გააუქმა, არადა დაბინძურების დონე 3–4-ჯერ აღემატება დასაშვებს. მავნე პირობები ათასგვარი დაავადების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს, ხშირია გულსისხლძარღვთა დაავადებები, ინსულტი, მემანქანეთა 65% საპენსიო ასაკსაც კი ვერ აღწევს, საკმაოდ ადრეულ ასაკში იღუპებიან.

2006 წელს, როცა ნაციონალებმა შრომის კანონი შეცვალეს, ყველა დანამატი ერთი ხელის მოსმით გააუქმეს და დაგვიწესეს 1100-ლარიანი ხელფასი, ეს გადასახადების გარეშე, თორემ დღესაც ხელზე 1038 ლარს ვიღებთ. ხელფასი საათობრივი ტარიფით ითვლება და ხელზე ასაღები ერთ საათზე 6,92 ლარია. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, დანამატების აღდგენა დაიწყო (იმ პერიოდში ჩამოვაყალიბეთ ჩვენი ორგანიზაცია), აღდგა მავნე პირობების დანამატი, მაგრამ ხელფასის 25% არ არის, თვეში ერთხელ ფიქსირებული 56 ლარია, ამას ემატება ღამის სამუშაო საათების დანამატი 36 ლარი. აი, ამ თანხების ჯამს იღებს მემანქანე, თბილისის სატრანსპორტო კომპანია კი აცხადებს, რომ თითქოს მემანქანის ხელფასი 1837 ლარია და კიდევ ვითხოვთ მის გაზრდას. ვფიქრობ, შეგნებულად უნდათ საზოგადოების შეცდომა შეყვანა. მედიკამენტები და მკურნალობა რაც ღირს, თქვენც კარგად იცით, დაზღვევა კი გვაქვს, მაგრამ ეს არის მინიმალური პაკეტი, 22 ლარი, რაც რეალურად ელემენტარული, პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარებაა. კომუნისტების მმართველობის პერიოდში, მემანქანეებს სახაზინო კვება ქონდათ, ნაციონალებმა ყველაფერთან ერთად ესეც გააუქმეს. კვებაც ჩვენი ხარჯით გვიწევს, მუშაობის პერიოდში სადღაც 16 წუთიანი შესვენება გვაქვს და ხაჭაპურს ან ლობიანს თუ ვიყიდით, მაგრამ ხშირ შემთხვევაში მწირი საკვების შესაძენი ფულიც აღარ გვრჩება. ჩვენს თანამშრომლებს ბანკიდან კრედიტები ჰქონდათ გამოტანილი, ყველა მძიმე დღეშია, ვისაც დოლარში ჰქონდა აღებული კრედიტი, იმათ საერთოდ დაკარგეს ბინები, რადგან ინფლაციის გამო ვეღარ გადაიხადეს. მემანქანეებს სხვა სამსახურის შეთავსებაც არ შეუძლიათ, რადგან მცოცავი გრაფიკით ვმუშაობთ, სადღაც 12 საათი გვიწევს დასვენება და ესეც სხეულის რეაბილიტაციას ჭირდება. ზოგი მემანქანე სამსახურის შემდეგ ტაქსაობს, მაგრამ მეორე დღეს საშინლად დაძაბული და გადაღლილები გამოდიან სამუშაოდ, ეს არც მისთვისაა კარგი, მით უმეტეს მგზავრთა უსაფრთხოებისთვის, ჩვენ რაიმე პროდუქცია ხომ არ გადაგვაქვს, ათასობით ადამიანის სიცოცხლე გვაბარია.

**— დედაქალაქის მერმა განაცხადა, მემანქანეები თუ გაიფიცებიან, მეტროს მაინც არ გავაჩერებთო. არის ამდენი სათადარიგო მემანქანე, რომ გაფიცულები ჩაგანაცვლონ? საერთოდ, თუ აუხსენით ხელმძღვანელობას პრობლემები ასე კვალიფიციურად, როგორც ჩვენ გვესაუბრებით?**

— ნამდვილად არა, ამიტომ გამიკვირდა კალაძის ნათქვამი, ისიც დაამატა, მემანქანეების მხოლოდ ნაწილი აპირებს გაფიცვასო. მეტროს ორივე ხაზზე 240 მემანქანე ვმუშაობთ და ყველა გაიფიცება, არ არსებობს ჩვენი რეზერვი. ადამიანი მემანქანის სპეციალობას სრულყოფილად რომ დაეუფლოს, მინიმუმ სამი წელია საჭირო. ერთი წელი მარტო თეორიულ სწავლებას ჭირდება, თუმცა ახლა ეს ვადა ექვს თვემდე შეამცირეს, რაც არასწორია, თუ ადამიანის სიცოცხლეზე ზრუნავ, პირიქით, სწავლება უნდა გააძლიერო. პირადად მე, წელიწადი და ორი თვე გავდიოდი თეორიულ სწავლებას, შემდეგ კიდევ ორი წელი დამჭირდა, სანამ ერთპიროვნულ მართვაზე გადავიდოდი. მე არ ვიცი საიდან ჰქონდა კალაძეს ინფორმაცია რეზერვი არსებობსო. შეაგროვეს ასეთი 18 ადამიანი, საიდანაც ხუთი კომისიამ დაიწუნა, მათი ხაზზე გასვლა არ შეიძლება. ხოლო დღის მანძილზე მეტრომ სრულად რომ იფუნქციონიროს, 83 მემანქანე ჭირდება.

მე შეხვედრაში ვმონაწილეობდი და ცხადია, ვესაუბრე, პრობლემებზე საუბარი ინფლაციის ნიშნების გამოჩენისთანავე დავიწყეთ, 2014–2015 წლები მოლაპარაკებებში გავატარეთ. 2016 წელს ვითარება დაიძაბა, სულ სამი მოთხოვნა გვქონდა, ღამის საათებში გაზრდილი ტარიფით ანაზღაურება, სტაჟის მიხედვით ხელფასზე დანამატი და თავად ხელფასის გაზრდა იმ ნიშნულამდე, რომ ლარის ინფლაციით მიღებული ზარალი გაგვენეიტრალებინა. მაშინაც საგაფიცვო რეჟიმზე გადავიდა პროცესი, თითქმის ყოველ დღე გვქონდა ხელმძღვანელობასთან შეხვედრა, მათ გარდა, მოვიარეთ ყველა ინსტანცია, ჯანდაცვის სამინისტროდან დაინიშნა მედიატორი, რომელიც ჩვენც შეგვხვდა და კომპანიის ხელმძღვანელობასაც, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში არ დადგა დადებითი შედეგი. სასამართლომ ერთი თვით გადაგვივადა გაფიცვის პერიოდი, მოილაპარაკეთო, მოვახერხეთ შეთანხმება, ისევ ჩვენ დავთმეთ პოზიციები. მაშინაც გვეუბნებოდნენ ფული არ არსებობსო, ღამის საათებზე დაგვიწესეს 18 ლარიანი დანამატი, ხოლო წლების დანამატი 22 ლარს შეადგენს. თუ მემანქანეს ათი წლის სტაჟი აქვს, წლის ბოლოს 220 ლარს იღებს. ვთქვით, რომ 2016 წელს ამით დავკმაყოფილდებოდით, მაგრამ 2017 წლიდან მომხდარიყო ტარიფის გაზრდა. ხელშეკრულებაც გაგვიფორმეს, სადაც ისიც ჩაიწერა, რომ 2017 წლიდან განხორციელდებოდა ლარის ინფლაციის შედეგად მიღებული ზარალის კომპენსაცია, კომისიაც უნდა შექმნილიყო, რომელიც ამ საკითხებზე იმუშავებდა, მაგრამ შეთანხმება ქაღალდზე დარჩა. 2017 წელიც ამ ცრუ შეხვედრებსა და მოლაპარაკებებში გავატარეთ. 2017 წლის ბოლოს, მეტროპოლიტენის ხელმძღვანელად მამუკა კობახიძე დაინიშნა, რომელმაც გვითხრა, ზუსტად ორი თვე მჭირდება ხელფასის ზრდა რომ განვახორციელოო. იანვრის ბოლოს იწურებოდა ორთვიანი ვადა, ამ პერიოდში მოხდა სამწუხარო ფაქტი, მეტროსადგურ „ვარკეთილში“ ჭერი ჩამოინგრა. კობახიძემ გვითხრა, ახლა მორალური უფლება არ მაქვს თანხის მომატებაზე ვისაუბროო, საზოგადოება ცუდად აღიქვამსო და ერთი თვე კიდევ ითხოვა, მაგრამ შედეგი ნული. მესმის, რომ საზოგადოებას დიდ უხერხულობას შეუქმნის მეტროს გაჩერება, ჩვენთვისაც ძალიან ძნელად გადასადგმელია ეს ნაბიჯი, მაგრამ სხვა გზა არ დაგვიტოვეს. 2 აპრილს სასამართლოში შევიტანეთ საგაფიცვო პერიოდის დაწყების შესახებ განცხადება, ჯანდაცვის სამინისტროსგანაც მოვითხოვეთ მედიატორი, 21 დღის შემდეგ გადმოგვეცა სასამართლოს განჩინება, რომ 30 დღით გადაგვივადეს საგაფიცვო პერიოდი. 18 მაისს მოგვიტანეს სასამართლოს მართლაც სასაცილო, დაუსაბუთებელი განჩინება, რომელიც კონსტიტუციას ეწინააღმდეგება. კონსტიტუციაში პირდაპირ არის მითითებული, რომ დასაქმებულისთვის გაფიცვა ისეთივე უფლებაა, როგორიც სიცოცხლის უფლება. აი, ეს უფლება შეგვიზღუდეს განუსაზღვრელი ვადით, სასამართლო წერს, რომ ნაწილობრივ გვიზღუდავს გაფიცვის უფლებას, ნაწილობრივ შეზღუდვა თურმე იმას ნიშნავს, რომ სამუშაო საათებში არ უნდა გავიფიცოთ, არასამუშაო საათებში რამდენიც გინდათ გაიფიცეთო. გაფიცვა ზუსტად სამუშაო საათებში სამუშაოზე ნებაყოფლობით უარის თქმას გულისხმობს, თორემ არასამუშაო საათებში რას გავაკეთებ, ეს რა სასამართლოს გადასაწყვეტია?! ჩვენ ამ გადაწყვეტილებას არ დავეთანხმებით, 3 ივნისს საგაფიცვო პერიოდზე გადავალთ, 4 ივნისს კი მეტროპოლიტენი გაჩერდება. სამწუხაროდ ამის თქმა მიწევს, რადგან ყურადღება არავინ მოგვაქცია.

დედაქლაქის მერი რომ ბრძანებს, მასწავლებელს 400 ლარი აქვს ხელფასი, მემანქანეზე გაცილებით ნაკლებს იღებსო, მერე ვის აბრალებს მათ დაბალ ხელფასს, როდისმე კითხა მასწავლებლებს, გყოფნით 400 ლარიო?! ახლა პატრულები, მეხანძრეები და სხვა სამსახურები დაუმატა კალაძემ მაგალითებს, რომ მათაც ჩვენზე დაბალი დაბალი ხელფასები აქვთო. ბატონი მერი ამით ცდილობს, დაპირისპირება დათესოს ჩვენსა და დანარჩენ საზოგადოებას შორის.

თურმე ჩვენ შანტაჟის ენით ვსაუბრობთ, ჩემი კონსტიტუციური უფლების გამოყენება, გაფიცვა შანტაჟი ყოფილა. მარტო მემანქანეები არ ვართ ასეთ რთულ მდგომარეობაში, ანალოგიური პრობლემების წინაშე დგანან მეტროპოლიტენის სხვა სამსახურებიც. გვირაბის სამსახურის მუშებს, კვირაში ხუთი ღამე უწევთ გვირაბში გატარება, მატარებლები მუშაობას რომ წყვეტენ, ისინი მერე იწყებენ ტექნიკურ შემოწმებას. მეტროპოლიტენში დაახლოებით 3000 ადამიანი მუშაობს, ყველგან ცუდი პირობებია, ზოგან ხელფასებიც მიზერულია. მე ამ შემთხვევაში იმ 500 ადამიანის სახელით ვსაუბრობ, რომლებიც ჩვენი ორგანიზციის წევრები არიან, თორემ ეს ყველაფერი 3000 ადამიანის პრობლემაა.

და ბოლოს: არ არის გამორიცხული, გაფიცვა პოლიტიკურ ჭრილში გადაიტანონ და თქვან, რომ სპეციალურად დავამთხვიეთ პარლამენტის წინ გამართულ აქციას. პირიქით, ეს აქცია (რომელსაც სრულად ვემიჯნებით) დაემთხვა ჩვენს გაფიცვას, რომლისთვისაც, როგორც გითხარით 2 აპრილიდან ვემზადებოდით.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

# სააკაშვილის მეტამორფოზა

## „იმისთვის არ გვიბრძოლია, რომ ამ კაციჭამიებს ახალი სისხლის გუბეები დავაყენებინოთ ქვეყანაში“

*გვესაუბრება ანალიტიკოსი, ბატონი სოსო მანჯავიძე:*

**— ბატონო სოსო, გასულ კვირას მიხეილ სააკაშვილმა სკანდალური განცხადებები გააკეთა „რუსთავი-2“-ის ეთერში. მისი პოლიტიკური მომავალი საქართველოში რეალურად გეჩვენებათ?**

— სააკაშვილი პოლიტიკურ ცხოველია და აქვს განსაკუთრებული პოლიტიკური ყნოსვა, ამიტომ იგი მშვენივრად ხვდება, საიდან უბერავს ქარი. ის ცდილობს ჩაერთოს კონსერვატიული რევოლუციის ტალღაში, რომელიც მიმდინარეობს შეერთებულ შტატებში და საუბრობს იმავე ენით, რომელი ენითაც ვებრძოდით მას პატრიოტულად განწყობილი ადამიანები მისი მძვინვარების პერიოდში.

ყველაზე დიდი პარადოქსი ისაა, ვის ებრძვის და ვის წინააღმდეგ იყენებს ის ამ „პატრიოტულ“ რიტორიკას? — „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ, რომელიც მას ებრძოდა, რადგან მთელი თავისი პოლიტიკური თაღლითობის პერიოდში კოსმოპოლიტური ძალების წარმომადგენელი გახლდათ.

**საკაშვილი მეტყველებს ზუსტად იმ ტერმინოლოგიით,**



**ზუსტად ისე, როგორც ტრამპის ადმინისტრაციის კონსერვატიული ნაწილი ლაპარაკობს.**

იგი მსჯელობს, როგორც ამერიკელი ზვიად გამსახურდია, ამერიკელებისვე მხარდაჭერით. აი, ასეთ პარადოქსთან გვაქვს საქმე და როგორც მე მაქვს ინფორმაცია, ჰოლანდიაში უკვე მიმდინარეობს სერიოზული კონსულტაციები, რათა განხორციელდეს მისი განზრახვა, დაბრუნდეს საქართველოში. ეს გეგმა იქ ინტენსიურად განიხილება.

**— როგორ და რატომ მოხდა სააკაშვილში მეტამორფოზა?**

— ის ელექტორატის მოთხოვნებს დაემორჩილა, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველო ჯერ კიდევ ვერ დააჩოქეს და ვერ მოხდა ჩვენთან ეროვნული იდეების საბოლოო დამხობა. ეს მშვენივრად იცის სააკაშვილმა და ის ახლა პოლიტიკურად ძალიან მომგებიან მდგომარეობაში იმყოფება.

„ქართული ოცნება“ და მისი პოლიტიკური ხელისუფლება არ არის კომუნიკაციაში აშშ-ის პოლიტიკურ ადმინისტრაციასთან. ესენი იმთავითვე ორიენტირს იღებდნენ კლინტონის ლიბერალურ, უკიდურეს მემარცხენე ფლანგთან, ანუ სოროსთან და ამის შესახებ მშვენივრად იცის საკმაოდ შურისმაძიებელმა ტრამპმა და მისმა ადმინისტრაციამ. შესაბამისად, რბილად რომ ვთქვათ, მათი დამოკიდებულება ჩვენს მიმართ არ არის მთლად სახარბიელო.

ჩვენს ხელისუფლებაში არსებული ძალები, ე.წ. „წიწამურელები“, რომლებიც ყოველგვარი დამსახურებებისა და წარმატებული პოლიტიკური ნაბიჯების მიუხედავად გავლენებით სარგებლობენ დღევანდელ ხელისუფლებაში...

**— „წიწამურელები“ ვინ არიან?**

— ის ახალგაზრდა „ოცნებელები“, რომლებიც ადრე „ნაცმოძრაობაში“ იყვნენ და ახლა „ოცნების“ ხელმძღვანელობაში გახლავან. ისინი წიწამურში წარადგინა ბატონმა კვირიკაშვილმა. ხოდა, ესენი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ჰილარი კლინტონი გაიმარჯვებდა. ჰოი, საოცრებავ, და, გაიმარჯვა ტრამპმა. იგავ-არაკები, რომ ის რუსეთის აგენტია და ა. შ. არ გამართლდა და მივიღეთ ის, რომ საქართველო გადაიქცა მარგინალური ლიბერალიზმის ფორპოსტად, ანუ სოროსიანელობის კუნძულად და დაპირისპირებული აღმოჩნდა აშშ-ის მოქმედ ადმინისტრაციასთან, შესაბამისად, დაკავშირებული ტრამპის მოქმედ ოპოზიციასთან.

სააკაშვილი ცდილობს მოიხმოს დასავლური ძალები და საქართველოს ხელისუფლება ხელში ჩაიგდოს — დაარწმუნოს ტრამპი, რომ ის და მისი მხარდამჭერი ძალები არიან მისი ერთგულები, ხოლო მოქმედი ხელისუფლება არის ტრამპის მოწინააღმდეგე.

ამაში დარწმუნებაც კი არაა საჭირო. ფაქტები არსებობს — ტრამპი ნარკომოვაჭრეების სიკვდილით დასჯას ითხოვს, ჩვენ ნარკოლიბერალიზაციის კანონს ვიღებთ, აშშ ლგბტ თემის წინააღმდეგ გამოდის, ჩვენთან ამ თემატიკის პროპაგანდაა გაჩაღებული. ტრამპი ეკონომიკურ ნაციონალიზმს ქადაგებს, ჩვენ უკიდურეს საბაზრო ლიბერალიზმს ვუჭერთ მხარს, თუმცა ბოლო ხანებში ამის საწინააღმდეგო ტენდენციები შეინიშნება, მე ვგულისხმობ ფინანსთა მინისტრის ბახტაძის ძალიან მნიშვნელოვან და გაბედულ ქმედებებს ბანკებთან დაკავშირებით.

თუ მიდგომები არ შეიცვალა, ტრამპი საქართველოს მის მოკავშირედ აღარ განიხილავს იდეოლოგიურ საკითხებში და ეს ცუდად მოუბრუნდება საქართველოს.

ჩვენთან ფიქრობენ, რაა მერე, ვიყოთ დაპირისპირებული იდეოლოგიური თვალსაზრისით და საგარეო პოლიტიკურ ვექტორებში თანხვედრა გვქონდეს. ფიქრობენ ასე, მაგრამ ეს ასე არ არის. ჩვენგან განსხვავებით, იქ საკმაოდ პრინციპული და რადიკალურად განწყობილი კონსერვატორები მოვიდნენ სათავეში და სულ უფრო და უფრო მეტად იპყრობენ ხელისუფლების ყველა შტოს, რისი პიკიც იქნება არჩევნები, სადაც კვლავ ტრამპის მხარდამჭერები ლიდერობენ, რითაც სრული კონსოლიდაცია იქნება ტრამპის ადმინისტრაციაში. ამის ნიშანია ისიც, რომ ჯერჯერობით არ აგზავნიან ახალ ელჩს. ეს იმის მანიშნებელია, რომ აშშ-ში მიმდინარეობს მუშაობა ახალი პოლიტიკური პლატფორმის შესამუშავებლად საქართველოს მიმართ.



ამ ვითარებაში, საქართველოს ხელისუფლებამ უნდა მოახერხოს და სოროსის კადრებიდან გაწმინდოს მმართველობა, შეცვალოს ეკონომიკური და მედიაპოლიტიკა, ლაგამი ამოსდოს არასამთავრობო ორგანიზაციებს და ა. შ. თუ ასეთი ტიპის საკადრო ნაბიჯები გადაიდგმება, გამოსავალი ნამდვილად არის და თავიდან ავიცილებთ მოსალოდნელ ესკალაციას.

ამის აუცილებლობის წინაშე ვდგავართ და ეს შესანიშნავად იცის სააკაშვილმა. მას აქვს ფინანსები, პოლიტიკური მხარდაჭერა, აქვს მედია და ჰყავს ფანატიკოსთა არმია, რომლებიც მიშას, როგორც მესიას, ისე ელოდებიან და რევანშის იდეით არიან გამსჭვალულნი.

„ქართული ოცნების“ „წიწამურელთა“ ნაწილმა ჩათვალა, რომ ისინი „ნაცმოძრაობას“ ორად გაყოფდნენ და ბოკერიას ფრთა კონსტრუქციულ ოპოზიციად გამოაცხადეს. ეს მიდგომა უზნეობასთან ერთად, პოლიტიკურად გაუთვლელია. ბოკერია და მისი ფრთა ქართველი ხალხისთვის ყველაზე მიუღებელი პოლიტიკური პერსონები არიან, ისინი გახლავან ყველაფერ იმის იდეოლოგები, რასაც ცუდს აკეთებდა „ნაცმოძრაობა“. იყვნენ უკიდურესად რადიკალური სოროსელების ფრთა — რამიშვილი-ბოკერიას ჯგუფი, რომლებიც სააკაშვილზე მეტად რადიკალური მარგინალი ლიბერალები იყვნენ. მოკლედ რომ ვთქვა, ესენი ყველაზე საშიში ანტისახელმწიფოებრივი დაჯგუფება გახლავთ. ჩვენმა სახელმწიფომ სწორედ ისინი აირჩია მთავარ ოპოზიციურ ძალად, რაც მდგომარეობის უკიდურეს სიმწვავეზე მიუთითებს.

**— თქვენ წეღან საქართველო რეგიონში ლიბერალიზმის კუნძულად მოიხსენიეთ...**

— რეგიონში კი არა, საქართველო მსოფლიოშიც ლიბერალიზმის ერთ-ერთი ფორპოსტია.

სოროსმა სად გადაიხადა დაბადების დღე? — საქართველოში. ეს არ არის შემთხვევითი ამბავი.

ამას გარდა, არის ილუზია, თითქოს ჩვენ გვკარნახობდნენ ლიბერალურ ტრენდს, მე პირიქით ვიტყვი. ხშირ შემთხვევაში, ჩვენგან მოდის ინიციატივა.



ყველა ვხედავთ, რამხელა წინააღმდეგობების გადალახვა მოგვიწევს, რომ ჩვენი ხელისუფლება გავხადოთ ეროვნული ინტერესების მსახური.

**— ჩვენ ვერ ვიქნებით ისეთი პოლიტიკური ფსევდოწინასწარმეტყველები, როგორიც, მაგალითად, ვინმე კაკულიაა, მაგრამ მოვლენების ანალიზის გათვალისწინებით, შევეცადოთ პერსპექტივები განვსაზღვროთ.**

— სააკაშვილი, მართალია, უნამუსოდ ცდილობს თავი ეროვნული იდეებით გამსჭვალულ პირად წარმოაჩინოს, მაგრამ მისი წარსული ყველას ახსოვს. ამიტომ, მისი დაბრუნების შემთხვევაში, ხალხი დაუპირისპირდება მას.

სამწუხარო ისაა, რომ სააკაშვილის და „ქართული ოცნების“ ანტირეიტინგი ერთნაირია. ფაქტობრივად, სახეზე გვაქვს შუა გაკრეჩილი ორი ძალა, რომლებიც უახლოვდებიან ერთმანეთს და ქვეყანა დაპირისპირებისკენ მიჰყავთ.

ერთი რამეც უნდა გავითვალისწინოთ. თუ ამ ორმა ძალამ კვლავ ვერ მოილაპარაკა, მოხდება ის, რომ ეს ძალები ერთმანეთს გაანეიტრალებენ და ვაითუ, ამ პროცესებმა ქვეყანაც არ „გაანეიტრალოს“.

სავარაუდოდ, ამის შემდეგ დაიწყება ქვეყანაში ნორმალური პოლიტიკური პროცესების ფორმირება.

**— ბატონო სოსო, იმაზე რას იტყვით, აქციები რომ პერმანენტულ ხასიათს იღებს, ხოლო ყოფილი ზონდერი კუპრავა მიტინგების ლიდერად იქცა?**

— კუპრავა რომ ფსიქიურად ავადაა, ნათელია. რის გამოც აქცია ისტერიულ და ირაციონალურ ვაკხანალიად გადაიქცა.

ისტერია მიზანმიმართულად ღვივდება ორი ტელევიზიის მიერ.

უკვე გითხარით, „ნაციონალური მოძრაობა“ რევანშს გეგმავს.

“ქართული ოცნების” გაურკვეველმა ქცევამ, ნაცების გვერდით უამრავი აღშფოთებული ადამიანი დააყენა.

ზაზა სარალიძე ამ აღშფოთების ასაფეთქებელ ნაპერწკლად იქცა და მისი მოთხოვნები გასცდა ყოველგვარ რეალიზმს.

თუ ეს მარაზმი გაგრძელდება და ამ ტრაგედიის გამოყენებას ნაცები და მათი მოკავშირეები ხელისუფლებაში მოსვლისთვის გამოიყენებენ, მზად უნდა ვიყოთ კონტრზომებისათვის.

იმისთვის არ გვიბრძოლია, რომ ამ კაციჭამიებს ახალი სისხლის გუბეები დავაყენებინოთ.

**ირანდა კალანდაძე**
594 56 11 18

# ძლიერი რეგიონები



თეთრიწყარო

### თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში

კოდის საზოგადოებრივ ცენტრში, საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ინიციატივით, სოფელ კოდის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის პროექტის საჯარო განხილვა გაიმართა.

შეხვედრას წყალმომარაგების კომპანიის წარმომადგენლებთან ერთად თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე მალხაზ სამაშვილი, ადგილობრივი მოსახლეობა და მერიის შესაბამისი სამსახურის თანამშრომლები ესწრებოდნენ.

პროექტის მიზანია წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემის რეაბილიტაცია და გაფართოება. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ კოდის წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა ითვალისწინებს:

ახალი ქსელის მოწყობას;

7 ჭაბურღილისა და 900 კუბ. მ³ მოცულობის რეზერვუარის მშენებლობას;

სატუმბი სადგურისა და 500 მ სიგრძის წყლის გადამცემი ქსელის მოწყობა, რომლის მეშვეობითაც ჭაბურღილიდან მოპოვებული წყალი რეზერვუარში გადავა;

საქლორატოროს მშენებლობა სასმელი წყლის დეზინფექციისთვის.

### ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში

მუნიციპალიტეტის მერი ირაკლი კუჭავა ჩეხ ინვესტორებს შეხვდა. საქართველოს მთავრობის მხარდაჭერის შემთხვევაში, კომპანია „მაუნთინ სკაის" განზრახული აქვს ინვესტიციების განხორციელება კურორტ ბახმაროში.

### გურჯაანის მუნიციპალიტეტში

● საქართველოში დაბრუნებულ 339 მიგრანტს მცირე ბიზნესის დასაწყებად გრანტი გადაეცა. არალეგალური ემიგრაციიდან დაბრუნებულებს უკვე საკუთარი შემოსავალი გაუჩნდათ და ქვეყნის დატოვებაზე აღარ ფიქრობენ. მათ შორისაა რუსეთიდან დაბრუნებული მარიამ კაციაშვილი, რომელსაც გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ შაშიანში მარწყვის ბაღი აქვს. მას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა გადაეცა.

● ახმეტა-თელავი-ბაკურციხის საავტომობილო გზის 15,5 კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობა გრძელდება. პროექტის დასრულების შემდეგ თელავი თბილისის გზა უფრო მოკლე და უსაფრთხო გახდება.

უკვე აშენებულია 6 კმ საავტომობილო გზა და 2 ხიდი. ამჟამად მიმდინარეობს ახალი ხიდის მშენებლობა და არსებული ხიდების რეაბილიტაცია.

სამუშაოზე დასაქმებულია 100 ადამიანი.

### დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში

ქერისა და ხორბლის მოსავლის აღების შეუფერხებლად უზრუნველყოფისა და შესაძლო პრობლემების პრევენციისთვის მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან და შპს „მექანიზატორის" ხელმძღვანელებთან ერთად სამუშაო შეხვედრა გამართა.

შეიმუშავეს სტრატეგია, რომელიც ფერმერებს მოსავლის უდანაკარგოდ აღებისა და დაბინავების საშუალებას მისცემს.

წელს მუნიციპალიტეტში დამატებით 12 ერთეული კომბაინი შემოვიდა, რამაც ჯამში 40 ერთეული შეადგინა. ტექნიკა მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით განაწილდება. კერძო პირების საკუთრებაში არსებული კომბაინების სახით მუნიციპალიტეტს გააჩნია დამატებითი რესურსიც. საჭიროების შემთხვევაში დედოფლისწყაროელ ფერმერებს ჩალაუბნის „მექანიზატორიც" დაეხმარება.

### ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში

არასამთავრობო ორგანიზაცია „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრმა" ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა გამართა. კონრად ადენაუერის ფონდი და მისი პარტნიორი ორგანიზაციები („ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი" და ასოციაცია „ათინათი"" ახორციელებენ ევროკავშირის პროექტს „სამოქალაქო საზოგადოება — მცირე და საშუალო ბიზნესის და ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის მხარდასაჭერად".

პროექტის მიზანია გააძლიეროს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, გაზარდოს მათი ცოდნა ისეთი საერთაშორისო დონის დოკუმენტებზე, როგორიცაა ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება და საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიას.

შეხვედრას მუნიციპალიტეტის მერი, მერის პირველი მოადგილე, საკრებულოს წევრები და ბიზნესსექტორის წარმომადგენლები დაესწრნენ.

„პროექტი მცირე და საშუალო ბიზნესსექტორის წარმომადგენლებს შესაძლებლობას მისცემს გაზარდონ ინფორმირებულობა ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, გააძლიერონ პარტნიორობა ეკონომიკურ სფეროში და განახორციელონ ორმხრივი ვაჭრობა. ინვესტიციების მოზიდვა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას", — განაცხადა ჯონდო მდივნიშვილმა.

### სიღნაღის მუნიციპალიტეტში

● ბრაზილიის ქალაქ სანპაულოს ტურისტული კომპანიის წარმომადგენელი გაიანე ლანგი (ბალარჯიშვილი) სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერს გიორგი გოგილაშვილს და მოადგილეს თეიმურაზ ბალარჯიშვილს შეხვდა.



სიღნაღი

ტურისტულ ჯგუფთან ერთად ჩამოსული სტუმრის მიზანია სიღნაღისა და სანპაულოს დამეგობრება და ტურისტული ურთიერთობების გაღრმავება.

● სიღნაღში დენდროლოგიურ პარკთან მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. იწმინდება საფეხმავლო გზა, დაიგება ფილები, მოპირკეთდება საყრდენი კედლები, მოეწყობა გარე განათების თანამედროვე სისტემა, პარკში სკამები და დასასვენებელი ზონები განთავსდება. დაგეგმილია აგრეთვე ახალი ფიტნეს-ზონის მოწყობა.

პროექტზე, რომელიც რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და სიღნაღის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდება, 257 844 ლარი დაიხარჯება.

სამუშაოები სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გოგილაშვილმა და მერის პირველმა მოადგილემ მადონა ბატიაშვილმა დაათვალიერეს.

### დუშეთის მუნიციპალიტეტში

● ბარისახოში სკოლა-პანსიონის რეაბილიტაცია დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის დაფინანსებით მიმდინარეობს. პროექტი ითვალისწინებს ფასადის მოპირკეთებას, ეზოს სადრენაჟო სისტემის მოწყობასა და შენობის შიდა სამუშაოებს, როგორიცაა: სველი წერტილების, კვების ბლოკისა და სასადილო ოთახის მოწყობა.

სამუშაოები უახლოეს დღეებში დამთავრდება.

● მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ზაქარია ხეხალაშვილი უკანაფშავის ადმინისტრაციულ ერთეულში იმყოფებოდა. იგი მერის წარმომადგენელ შალვა წითელაურთან ერთად ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა. ზაქარია ხეხელაშვილი იმ ოჯახებს სტუმრობდა, რომელთაც დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიამ მზის პანალებისთვის საჭირო ბატარეები გადასცა.

მოსახლეობამ ელექტროენერგიასთან დაკავშირებული პრობლემებით ადგილობრივ ხელისუფლებას ერთ-ერთი შეხვედრისას მიმართა, რის შემდეგაც უკანაფშავში მუდმივად მცხოვრებ ხუთ ოჯახს მზის ბატარეები შეუძინეს.

უკანაფშავში კვლავ რჩება პრობლემები, ისეთები, როგორიცაა საგზაო ინფრასტრუქტურა და მობილური კავშირგაბმულობა. ამასთან დაკავშირებით დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიაში აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა.



გურჯაანი

# ძლიერი საქართველოსთვის


ზუგდიდი

### ზუგდიდის მუნიციპალიტეტში

● ზუგდიდის მოსწავლე-ახალგაზრდობის განვითარების სასახლეში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერმა ლაშა გოგიამ, საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა წოწერიასთან ერთად, იმ ოჯახებს, რომლებიც „ერთი თბილი ოთახის“ პროგრამაში ჩაერთვნენ და სოციალური სახლების მშენებლობის პროგრამაში მოხვდნენ, პროგრამაში ჩართვა მიულოცა და სახლის სიმბოლური გასაღებები გადასცა.

მუნიციპალიტეტის მერია 40-მდე სოციალურ პროგრამას ახორციელებს, რომელთა მიზანია მოქალაქეების ჯანმრთელობისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით ეფექტიანია უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამა, რომელიც ზუგდიდის მუნიციპალიტეტში 2015 წლიდან წარმატებით ხორციელდება.

● ზუგდიდში ვეტერანებს უფასო სამედიცინო გამოკვლევები უტარდებათ. აქციის ინიციატორი და მხარდამჭერია როგორც სამხარეო, ისე მუნიციპალური ხელისუფლება, აგრეთვე ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო სამსახური.

ვეტარანებს და მათი ოჯახის წევრებს უახლესი აპარატურით სხვადასხვა სახის კარდიოლოგიურ გამოკვლევებს ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის ექიმები უტარებენ.

სამედიცინო აქციის ფარგლებში მომსახურება გაეწევა 200-მდე პაციენტს.

● მუნიციპალიტეტის ცაცხვის ადმინისტრაციულ ერთეულში, მერაბ კოსტავას ქუჩაზე, სანიაღვრე არხის მოწყობისთვის 14941 ლარია გამოყოფილი.

● მუნიციპალიტეტის მერი ლაშა გოგია, საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა წოწერიასთან და ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, სასტუმრო „რივერსაიდის“ ოფიციალურ გახსნას დაესწრო.

### ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში

● საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა, წვიმიანი ამინდების შემდეგ, ფაროსანას საწინააღმდეგო შეწამვლა დაიწყეს.

უსაფრთხოების ზომების დაცვის მიზნით, სამუშაოების დაწყების შესახებ მერის წარმომადგენლები უბნებში, სურსათის ეროვნული სააგენტოს მცენარეთა დაცვის სპეციალისტებთან ერთად, მეფუტკრეებს შეხვდნენ და რეკომენდაციები გააცნეს.

თერმული ნისლის ტექნოლოგიით დამუშავება ქალაქის შიდა ქუჩებსა და მიმდებარე ტერიტორიებზე მუნიციპალიტეტის ოთხივე უბანში ერთდროულად დაიწყო.

● ქალაქის მერმა გოჩა კურდღელიამ, მოადგილეებთან ირაკლი თოფურიასთან, გიორგი ფარეშიშვილთან და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად, დაათვალიერა სტადიონზე მიმდინარე მშენებლობისა და ბალახის საფარის დაგების სამუშაოები.

ფოთის საფეხბურთო სტადიონზე გადახურვის სამუშაოები დაიწყო. მზადდება სივრცე მძიმე კონსტრუქციების დასამონტაჟებლად. მშენებლობის პირველი ეტაპი ზაფხულის ბოლოს დასრულდება.

### მარტვილის მუნიციპალიტეტში

● მარტვილის მუნიციპალიტეტის ინჩხურის ადმინისტრაციულ ერთეულში, პატარა ინჩხურის უბანში, გზის კეთილმოწყობა მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში დაიგება 2000 მეტრი ასფალტბეტონის საფარი. იგეგმება გრუნტის კიუვეტებისა მოწყობა და ლითონის მილების მიერთება.

მიმდინარე სამუშაოებს მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე გრიგალავა მერის პირველ მოადგილესთან, დავით სურმავასთან და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან ალექსანდრე ახვლედიანთან ერთად გაეცნო.

პროექტის ღირებულებაა 459 821 ლარი. გზის მშენებლობა საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დაფინანსებით ხორციელდება.

### ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში

აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ქიმიური წამლობა ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში ინტენსიურად მიმდინარეობს. ადმინისტრაციული ერთეულების ტერიტორიები თერმული ნისლის ტექნოლოგიის გამოყენებით მუშავდება.

მუნიციპალიტეტის მასშტაბით დამონტაჟებულია აგრეთვე წერტილოვანი ფერომონები, რომელთა საშუალებით ხდება მავნებლის განადგურება.

სოფელ ხაბუმეში, კონკრეტულ უბნებში, თერმული ნისლის აგრეგატით აღჭურვილი 8 ერთეული მაღალი გამავლობის ავტომობილი ერთდროულად მუშაობდა.

სამუშაოების მიმდინარეობას ადგილზე გაეცნო მუნიციპალიტეტის მერი დათო გოგუა, რომელმაც ადგილობრივებს აზიური ფაროსანას წინააღმდეგ მიმდინარე ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.

მავნებლის საწინააღმდეგო კომპლექსური მოქმედებისთვის ყველა რესურსია მობილიზებული.

### მარნეულის მუნიციპალიტეტში

მუნიციპალიტეტის მერი თემურ აბაზოვი, მოადგილეებთან ზაურ ტაბატაძესთან, ლაშა ლობჯანიძესთან და საკრებულოს დეპუტატებთან ერთად, მარნეულის წისქვილ-კომბინატს, შპს „აგროსისტემებს“ ესტუმრა.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები ადგილზე გაეცნენ პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიას და დირექციის წარმომადგენლებთან ერთად საწარმოს ინფრასტრუქტურა დაათვალიერეს.

საწარმოს დირექტორის თქმით, მარნეულის წისქვილ-კომბინატი საქართველოს მასშტაბით ყოველდღიურად 3 ათასზე საწარმო სუბიექტს ამარაგებს.

აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე საწარმოში 150 ადგილობრივია დასაქმებული.

### ბოლნისის მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტის მერიამ, ბოლნური ღვინის პოპულარიზების მიზნით, წმინდა პეტრესა და პავლეს სახელობის მონასტრის ტერიტორიაზე საოჯახო მეურნეობების მიერ წარმოებული ღვინის დეგუსტაცია გამართა. დეგუსტაციაზე 20 საოჯახო მარნის 40 სახეობის ღვინო იყო წარმოდგენილი.

ღონისძიება დაიწყო ელიას მთის კალთაზე, ახლად მოწყობილ ტერასებზე, პირველი ვაზის დარგვის ცერემონიით. სხვადასხვა უწყების წარმომადგენლებმა, ღვინისა და ტურისტული ბიზნესით დაკავებულმა სტუმრებმა სიმბოლურად თითო ვაზის ნერგი დარგეს.

მოწვეულ სტუმრებს სიტყვით მიმართა ბოლნისის მერმა დავით შერაზადიშვილმა, რომელმაც ხაზი გაუსვა ბოლნური ღვინის ისტორიულ მნიშვნელობას. ტრადიციულად, ბოლნისში წარმოებული ღვინო განკუთვნილი იყო როგორც საქართველოს, ისე უცხოური ბაზრისთვის.

### დმანისის მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი ტატუაშვილმა მოადგილეებთან, მერიის, საკრებულოს თანამშრომლებთან და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ინფრასტრუქტურის მონიტორინგის მთავარ სპეციალისტთან ბატონ ლაშა აბაშიძესთან ერთად დმანისის მუნიციპალიტეტში „საზოგადოებრივი ცენტრის“ მშენებლობის პროცესი დაათვალიერა. მშენებლობა მიმდინარე წლის 18 აგვისტოს დასრულდება.

**გიორგი ტატუაშვილი:** „ეს არის ძალიან მნიშვნელოვან პროექტი, რომელსაც სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო ახორციელებს. მშენებლობის დასრულების შემდეგ, მუნიციპალიტეტი ტერიტორიას შემოღობავს და გარე პერიმეტრის კეთილმოწყობაზეც იზრუნებს. კერძოდ, გაფართოვდება საზოგადოებრივ ცენტრამდე მისასვლელი გზა, მოეწყობა გარე განათების სისტემა. ცენტრის საშუალებით მოსახლეობას მიეცემა საშუალება, ისარგებლოს 200-ზე მეტი საჯარო და კერძო სექტორის სერვისით“.


ჩხოროწყუ

# დიდი დეპრესიის მოლოდინში

ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის მიერ ირანისთვის წაყენებული ფაქტობრივი ულტიმატუმის შემდეგ, გასულ კვირას აღნიშნულმა მოვლენამ, ერთი შეხედვით, მეორე პლანზე გადაინაცვლა. თუმცა, ექსპერტების განცხადებით, პრობლემა გადაუჭრელია და საკითხი ახლო მომავალში კვლავ გააქტიურდება.

ირანის საკითხი ჩრდილოეთ კორეამ ჩაანაცვლა. პოლიტიკური „პინგპონკის", ანუ აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის გაურკვეველი განცხადების — შევხვდები-არშევხვდების შემდეგ, ქვეყანას ჩრდილოეთ კორეის ოფიციალური დელეგაცია ეწვია, რომელსაც კიმ ჩინ ინის მოადგილე (პარტიული ხაზით) ხელმძღვანელობდა. ბოლოს როდის განახორციელეს ჩრდილოეთ კორეელებმა აშშ-ში ოფიციალური ვიზიტი, ამას მრავლისმნახველი პოლიტოლოგებიც ვერ აკონკრეტებენ.

მაზე კონგრესის არჩევნებია და სურს, უმრავლესობაში რესპუბლიკელები იყვნენ. ამის გარდა, ცნობილი გახდა, რომ ტრამპი ნობელის პრემიასაც უმიზნებს. იგივე პოლიტოლოგების ვარაუდით, ამიტომაც შეარბილა რიტორიკა ირანთან მიმართებაში. რამდენ ხანს გაგრძელდება შერბილებული ტონი, ვერ აკონკრეტებენ. ექსპერტები ვერც იმას აკონკრეტებენ, გაიმართება თუ არა სინგაპურში დაგეგმილი სამიტი. მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ კიმ ჩინ ინი, კადაფის მაგალითიდან გამომდინარე, სრულ განიარაღებაზე არ დათანხმდება. ამასთან, უცნობია, თავად ჩრდილოეთ კორეელები რა პირობებს წაუყენებენ ტრამპს. ყველა კითხვაზე პასუხს უკვე ერთ კვირაში, სამიტის შემდეგ გავიგებთ.

აშშ-ში ჩრდილოეთ კორეელთა ვიზიტის დროს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი ფხენიანში ჩავიდა, სადაც კიმ ჩინ ინს შეხვდა. ჩრდილოეთ კორეელთა ვიზიტი კრიტიკულად შეაფასა. მათი განცხადებით, ტრამპს კორეელები თეთრ სახლში არ უნდა მიეღო. სინგაპურის სამიტიდან შედეგს არც რესპუბლიკელი კონგრესმენები ელოდებიან.

ორშაბათს ცნობილი გახდა,რომ კიმ ჩინ ინმა შეცვალა უმაღლესი თანამდებობის სამხედრო პირები. რა გახდა ცვლილების მიზეზი, ამის შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია არ გავრცელებულა. არაოფიციალურად ამბობენ, რომ სამხედროებმა უკმაყოფილება გამოთქვეს აშშ-სთან მოლაპარაკებაზე. თუმცა, ქვეყნის პოლიტიკური სტრუქტურებიდან გამომდინარე, გამორიცხული არც არაფერია.

თვის დასაწყისში უკვე ამოქმედდა დონალდ ტრამპის მიერ გამოცემული მემორანდუმი, ფოლადსა და ალუმინზე საბაჟო გადასახადის გაზრდის შესახებ. მსგავსი სანქციებით ტრამპმა აიმხედრა მოკავშირე ქვეყნები. ექსპერტების გამოთვლებით, ამის გამო განსაკუთრებით აშშ-ის მეზობლები — კანადა და მექსიკა იზარალებენ. კანადელებმა სანქციებს დამამცირებელი უწოდეს. გასულ კვირას შედგა „დიდი შვიდეულის" ქვეყნების ფინანსთა მინისტრების შეხვედრა, სადაც, ძირითადად, სწორედ გაზრდილ საბაჟო გადასახადზე ისაუბრეს. კანადელებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შეიტანენ საჩივარს.



დელეგაციას თავდაპირველად სახელმწიფო მდივანმა მაიკლ პომპეომ უმასპინძლა. საუბარი, თავისთავად, სინგაპურში 12 ივნისს დაგეგმილი სამიტის დეტალებს შეეხებოდა. ამის შემდეგ დელეგაცია დონალდ ტრამპმა მიიღო. დელეგაციის ხელმძღვანელმა პრეზიდენტს კიმ ჩინ ინის წერილი პირადად გადასცა. პრესასთან ტრამპმა განაცხადა, რომ წერილი საუკეთესო იყო. იქვე დასძინა, რომ ჯერ არ ჰქონდა წაკითხული. კონვერტი მართლაც გაუხსნელი ეკავა ხელში. ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რომელიც ყველას აინტერესებდა, სინგაპურში კიმ ჩინ ინთან შეხვედრას ეხებოდა. ტრამპმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ 12 ივნისს დაგეგმილი სამიტი კიმ ჩინ ინთან გაიმართება. „...სინგაპურში ყველა საკითხისა და პრობლემის გადაჭრას არ ველოდებით, მაგრამ ჩვენთვის მთავარია, რომ საუბარი დავიწყეთ და ორივე მხარის სურვილია ურთიერთობების აღდგენა", — განაცხადა დონალდ ტრამპმა ჟურნალისტებთან შეხვედრაზე.

პოლიტოლოგების შეფასებით, ტრამპს ჰაერივით სჭირდება ჩრდილოეთ კორეის პრობლემის მოგვარება, რადგან შემოდგოსაინტერესოა, რომ მოსახლეობამ ლავროვის ვიზიტის შესახებ მხოლოდ მეორე დღეს გაიგო. კიმ ჩინ ინმა ლავროვს პრეზიდენტ პუტინთან გულთბილი მოკითხვა დააბარა. ცნობილი გახდა, რომ ახლო მომავალში პუტინის და კიმ ჩინ ინის შეხვედრა გაიმართება, რომლის სამზადისიც უკვე დაიწყო. ლავროვმა ყველა დაინტერესებულ ქვეყანას მოუწოდა, ხელი შეუწყონ 12 ივნისს დაგეგმილ სამიტს, რათა შეხვედრა არ ჩაიშალოს. ამის გარდა, ლავროვმა კიმ ჩინ ინთან აშშ-ის მხრიდან მისაღებ გარანტიებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ პირობები მყარი უნდა იყოს. ჩრდილოეთ კორეის ლიდერმა კი განაცხადა, რომ პუტინი აშშ-ის ჰეგემონიას აღუდგა წინ.

ამერიკული პრესის ინფორმაციით, დონალდ ტრამპმა მტკივნეულად აღიქვა ლავროვის ვიზიტი ჩრდილოეთ კორეაში. მან პირდაპირ განაცხადა: „არ მომეწონა კიმ ჩინ ინის რუსეთთან შეხვედრა". ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ლავროვმა კიმ ჩინ ინს რუსეთისა და ჩინეთის ინტერესები გააცნო, რაც ტრამპთან შეხვედრისას უნდა გაითვალისწინოს. საინტერესოა, რომ აშშ-ის გამოცემების ნაწილმა

ევროკავშირის ქვეყნები შეშფოთებულები არიან „სავჭრო ომით". ექსპერტები აღნიშნავენ, რომ, მიუხედავად ტრამპის განცხადებისა, სავაჭრო ომში გამარჯვება იოლიაო, როდესაც ისეთი გიგანტები უპირისპირდებიან ერთმანეთს, როგორიც აშშ და ევროკავშირია, ძნელია გათვალო გამარჯვებულის ვინაობა. ეკონომისტების გათვლებით, „სავაჭრო ომი" მრავალმილიარდიან ზარალს უქადის ქვეყნებს. ანალიტიკოსების ნაწილი მიიჩნევს, რომ დონალდ ტრამპის ამ გადაწყვეტილებამ, ადვილი შესაძლებელია, დიდი დეპრესია გამოიწვიოს.

**გია ბურდული**
551 71 27 07

# „საერთო გაზეთის" იურიდიული კონსულტაცია



„საერთო გაზეთის" მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

**მთვარისა კევლიშვილი.**
ტელ.: 2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69

* * *

— **რას ნიშნავს უზუფრუქტი?**

— სამოქალაქო კოდექსის 242ე მუხლის მიხედვით, უძრავი ნივთი შეიძლება სხვა პირს გადაეცეს სარგებლობაში ისე, რომ იგი უფლებამოსილია, როგორც მესაკუთრემ, გამოიყენოს ეს ნივთი და არ დაუშვას მესამე პირთა მიერ მისით სარგებლობა, მაგრამ მესაკუთრისაგან განსხვავებით, მას არა აქვს ამ ნივთის გასხვისების, იპოთეკით დატვირთვის ან მემკვიდრეობით გადაცემის უფლება (უზუფრუქტი). ამ ნივთის გაქირავების ან იჯარით გადაცემისათვის საჭიროა მესაკუთრის თანხმობა. უზუფრუქტის გაუქმების შემდეგ მესაკუთრე ხდება არსებული ქირავნობის ან იჯარის ურთიერთობების მონაწილე.

მუხლი 243. უზუფრუქტის დადგენის სამართლებრივი მოწესრიგება უზუფრუქტის დადგენის დროს გამოიყენება იგივე წესები, რაც უძრავი ნივთების შეძენის დროს.

მუხლი 244. უზუფრუქტის სახეები

1. უზუფრუქტი შეიძლება იყოს სასყიდლიანი და უსასყიდლო.

2. უზუფრუქტი შეიძლება არსებობდეს დროებით ან მისი მიმღების (უზუფრუქტუარის) სიცოცხლის ხანგრძლივობის მანძილზე. უზუფრუქტი უქმდება იმ ფიზიკური პირის გარდაცვალებით ან იურიდიული პირის ლიკვიდაციით, რომლის სასარგებლოდაც იყო უზუფრუქტი დადგენილი.

მუხლი 245. უზუფრუქტუარის უფლება-მოვალეობანი

1. უზუფრუქტის დაწყების წინ მხარეებს შეუძლიათ აღწერონ უზუფრუქტით გადასაცემი ობიექტების მდგომარეობა.

2. უზუფრუქტუარს მესაკუთრის თანხმობის გარეშე არა აქვს უფლება შეცვალოს სარგებლობის მიზანი.

3. უზუფრუქტუარი უფლებამოსილია მიიღოს ამ ნივთის ის ნაყოფიცა და სარგებელიც, რომლებიც არ არის მიღებული ნივთის ჩვეულებრივი სამეურნეო გამოყენების შედეგად. ამ შემთხვევაში იგი ვალდებულია მესაკუთრეს აუნაზღაუროს ის ზიანი, რაც მიადგა ნივთს ასეთი გამოყენების შედეგად.

4. უზუფრუქტუარი პასუხს არ აგებს ნივთის ნორმალური ცვეთისათვის. იგი ვალდებულია აანაზღაუროს მიმდინარე ხარჯები, გაარემონტოს ნივთი, აგრეთვე იზრუნოს ნივთის ნორმალური სამეურნეო მოვლისათვის.

5. უზუფრუქტუარი ვალდებულია უზუფრუქტის არსებობის მანძილზე დააზღვიოს ნივთი, თუ ეს გათვალისწინებულია კანონით ან მხარეთა შეთანხმებით.

თუ უზუფრუქტის საგანი არის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთი და უზუფრუქტუარი საჯარო სამართლის იურიდიული პირია ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოა, ნივთის დაზღვევა არ არის სავალდებულო.

6. თუ ნივთი განადგურდა, დაზიანდა ან მის შესანახად წარმოიშვა გაუთვალისწინებელი ხარჯები, უზუფრუქტუარმა ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს მესაკუთრეს. მან უნდა ითმინოს ის ღონისძიებები, რომლებიც მესაკუთრემ განახორციელა ამ სიტუაციის თავიდან ასაცილებლად. მესაკუთრე არ არის ვალდებული მიიღოს შესაბამისი ზომები. თუ ამ ღონისძიებებს ატარებს თვითონ უზუფრუქტუარი, მაშინ მას შეუძლია უზუფრუქტის დამთავრების შემდეგ მოაშოროს ნივთს ის საგნები, რომლებიც მან ამ ღონისძიებათა შედეგად მიუმატა, ან მოსთხოვოს მესაკუთრეს ამ საგნების სათანადო კომპენსაცია.

7. თუ ნორმალური სამეურნეო საქმიანობის ფარგლებში უზუფრუქტუარი გაასხვისებს ცალკეულ საგნებს, მაშინ გასხვისებული საგნების ადგილი უნდა დაიკავოს მის მიერ შეძენილმა საგნებმა.

მუხლი 246. უზუფრუქტის შეწყვეტა

1. უზუფრუქტუარი ვალდებულია უზუფრუქტის დამთავრების შემდეგ დაუბრუნოს ნივთი მესაკუთრეს.

2. უზუფრუქტი ისპობა, თუ იგი საკუთრებასთან ერთად ერთი პირის ხელში აღმოჩნდება.

* * *

— ვარ საქართველოს მოქალაქე, ეროვნებით აზერბაიჯანელი. ჩემი შვილი 4 წლის წინ დაიბადა თურქეთის რესპუბლიკაში. მოხდა ისე, რომ დღემდე ვერ მოვახერხე, რიგი მიზეზების გამო, ბავშვის დაბადების მოწმობის აღება. მაქვს მხოლოდ სამედიცინო ცნობა მამრობითი სქესის ბავშვის დაბადების შესახებ თურქეთის ერთ-ერთი სამშობიარო სახლიდან. როგორ ავიღო დაბადების მოწმობა? იქნებ დამაკვალიანოთ.

— შეკითხვა გასაგებია. თქვენ უნდა მიმართოთ სახელმწიფო სერვისების მომსახურების სააგენტოს, იგივე იუსტიციის სახლს. უნდა წარადგინოთ ბავშვის ფოტოსურათები, სავარაუდოდ, აუდიოდისკთან ერთად. ორი მეზობლის პირადობის მოწმობის ასლი. ამ მეზობლებმა უნდა დაადასტურონ, რომ ნამდვილად თქვენ ხართ ბავშვის დედა. ბავშვის მამამ, თუ მასთან იმყოფებით სამოქალაქო ქორწინებაში, ასევე, უნდა დაადასტუროს ბავშვის დაბადების ფაქტი. შესაბამისად, წარადგენთ ქორწინების მოწმობას და, აქაედან გამომდინარე, არ იქნება პრობლემა ბავშვისათვის მამის გვარის მიკუთვნების შესახებ. თუ არ იმყოფებით სამოქალაქო ქორწინებაში, მამამ მაინც უნდა დაადასტუროს ბავშვის დაბადების ფაქტი და ასევე, ფაქტი, რომ ის არის ბავშვის ბიოლოგიური მამა, რასაკვირველია, თუ ის აღიარებს ბავშვის მამობას. თუ მამობას არ აღიარებს, შეგიძლიათ მიმართოთ სასამართლოს და ამ გზით მოიპოვოთ მამობის აღიარება.

გარდა ყოველივე ზემოთ აღნიშნულისა, თქვენ აუცილებლად დაგჭირდებათ თურქეთის რესპუბლიკიდან ბავშვის დაბადების სამედიცინო ცნობის აპოსტილით დამოწმება. უნდა მიმართოთ თურქეთის რესპუბლიკაში არსებულ საქართველოს საკონსულოს, რომელიც გადაამოწმებს ამ ცნობის ნამდვილობას და დაამოწმებს აპოსტილით. ყველა ამ დოკუმენტს, რომელთა შესახებაც მოგახსენეთ, ერთად წარადგენთ იუსტიციის სახლში, რომელიც დაადგენს ბავშვის დაბადების იურიდიულ ფაქტს და გასცემს დაბადების მოწმობას.

# თენგიზ უთმელიძე 80 წლისაა



ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიურმა ანსამბლმა თავისი 70-წლიანი არსებობის მანძილზე უჭკნობი ხელოვნებით მოაჯადოვა მთელი მსოფლიო. ამ ანსამბლის უნიკალური ბიოგრაფია მთელი ეპოქაა, რომელშიც უპირველესად ირეკლება ჩვენი პლანეტის მილიონობით მაყურებელი, ფეხზე წამომდგარი, არნახულ ოვაციას რომ უმართავდა ნინოსა და ილიკოს მიერ გაცოცხლებული ქართული სულის თავგადასავალს, მათი პირმშო ქართული ცეკვის ანსამბლის ვირტუოზ მოცეკვავეთა თაობებს, რომლებიც ათეული წლების მანძილზე ბრწყინავდნენ მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულ სცენებზე.

ერის საამაყო ანსამბლმა „ცერებზე შემდგარმა შემოუარა მთელ სამყაროს დედამიწასთან ერთად". ეს იყო „ქართული ცეკვის დესპანების პროპაგანდა მთელს მსოფლიოში".

სახელოვან ქართველ მოცეკვავეთა პლეადის ბრწყინვალე წარმომადგენელია ქართული ცეკვის ვარსკვლავი, დიდებული მოცეკვავე და



მსახიობი, „სუხიშვილების" ოქროს ხანის წამყვანი სოლისტი და მისი გულანთებული მემატიანე, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე თენგიზ უთმელიძე.

თენგიზ უთმელიძე დაიბადა 1938 წლის 24 მაისს ქ. თბილისში. სწავლობდა თბილისის 32-ე ვაჟთა საშუალო სკოლაში. 1957 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სამთო-მეტალურგიული ტექნიკუმი, ამავე წელს ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტზე.

1957 წელს ილიკო სუხიშვილმა და ნინო რამიშვილმა ნიჭიერი და პერსპექტიული ახალგაზრდა საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში მიიღეს მოცეკვავე-მსახიობად. ყოველდღიური, თავდაუზოგავი შრომის შედეგად, სწორედ ამ ანსამბლში ჩამოყალიბდა თენგიზ უთმელიძე ქართული ცეკვის პროფესიონალ შემსრულებლად და სულ მალე ანსამბლის ერთ-ერთი წამყვანი სოლისტი გახდა. აღსანიშნავია მის მიერ შესრულებული სოლო პარტიები ცეკვებში: „ხევსურული სუიტა", „ხორუმი", „ჯეირანი", „წყაროსთან", „დავლური", „ხონგა" და სხვა. მან „ვეფხისტყაოსნის" გმირის ტარიელის დასამახსოვრებელი სახე შექმნა ქორეოგრაფიულ კომპოზიციაში „ქაჯეთის ციხის აღება", რომელიც საგანგებოდ მიეძღვნა შოთა რუსთაველის 800 წლის იუბილეს. თენგიზ უთმელიძეს განსაკუთრებული პოპულარობა და აღიარება კი ქართული ქორეოგრაფიის გვირგვინმა—ცეკვა ქართულმა მოუტანა, რომელსაც ბრწყინვალედ ასრულებდა ქართული ცეკვის დედოფალთან, ნინო რამიშვილთან ერთად.

თენგიზ უთმელიძის ცეკვა გამოირჩეოდა დახვეწილი არტისტიზმით, შესრულების მაღალი კულტურით, ინდივიდუალობით, რაინდული კეთილშობილებით, სცენური გარდასახვის უნარითა და მგზნებარე ტემპერამენტით. მისი ხელოვნება არაერთგზის დადებითად არის შეფასებული ქართულ და უცხოურ პრესაში. თენგიზ უთმელიძემ ქართული ცეკვის აკადემიურ ანსამბლთან ერთად ტრიუმფით მოიარა მსოფლიოს 70-მდე ქვეყანა.

თენგიზ უთმელიძე ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალის მონაწილე და ლაურეატია (1957 წ. ქ. მოსკოვი). ასევე მონაწილეობას იღებდა 1958 წელს ქ. მოსკოვში გამართულ საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაში, პოლონეთში (1969 წ.) ქართული კულტურის დღეებში.

1966 წელს ანსამბლში მოღვაწეობის პარალელურად თენგიზ უთმელიძემ დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი.

თენგიზ უთმელიძე 1971 წლიდან სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წევრია, 1996 წლიდან კი საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის წევრი.

თენგიზ უთმელიძე კულტურისა და ხელოვნების საკითხებზე პრესაში გამოქვეყნებული მრავალი პუბლიკაციის, სტატიის, მხატვრულ-დოკუმენტური ნოველის, წერილის, აგრეთვე საიუბილეო ბროშურის, ბუკლეტის თუ გაზეთის სპეციალური ნომრების ავტორი და წიგნის რედაქტორია, კულტურის სფეროში არაერთი ადგილობრივი და საერთაშორისო ღონისძიების, საიუბილეო საღამოების, სამუსიკო და ქორეოგრაფიული ხელოვნების კონკურსებისა და ფესტივალების ინიციატორი და ორგანიზატორია, ხშირად იყო სხვადასხვა რანგის ღონისძიებების ჟიურის წევრი და თავმჯდომარე.

თენგიზ უთმელიძეს გადაღებული აქვს დოკუმენტური ფილმები 1970 წელს ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში ანსამბლის მოგზაურობაზე. ანსამბლის ტრიუმფალური გამოსვლების შესახებ გამოქვეყნებული აქვს 200-ზე მეტი ნარკვევი, წერილი, სტატია, ნოველა, ხოლო უცხოეთიდან მის მიერ ოპერატიულად გამოგზავნილი წერილები, სტატიები თუ ფოტოები სისტემატურად იბეჭდებოდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში.

აღსანიშნავია, რომ თენგიზ უთმელიძის ინიციატივითა და ძალისხმევით 2005 წელს დაარსდა მოცეკვავეთა პროფესიული დღესასწაული „ქართული ქორეოგრაფიის დღე", რომელიც ყოველწლიურად 11 ივნისს აღინიშნება.

სხვადასხვა წლებში თენგიზ უთმელიძე წარმატებით მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობებზე: საქართველოს ჟურნალისტთა კავშირში, საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლებისა და საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროებში, საქართველოს კულტურის სამინისტროში; 2001-2010 წლებში ჯერ იყო საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა საერთო ეროვნული შემოქმედების კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, შემდეგ — თავმჯდომარე, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის ქორეოგრაფიული განყოფილების ხელმძღვანელი, მერაბ ბერძენიშვილის სახელობის კულტურის საერთაშორისო ცენტრის „მუზას" გენერალური დირექტორი.

იყო კოორდინატორი და უშუალო მონაწილე ქართული კულტურის დღეებისა სან-დიეგოში (აშშ, 1989 წ.), სტამბოლში (თურქეთი 1991 წ.), მოსკოვში (რუსეთი, 1998 წ.). თენგიზ უთმელიძემ არა მარტო ქართულ ცეკვას, ქართულ კინოსაც გადაუხადა ხარკი, მან აბესალომის როლი შეასრულა სიკო დოლიძის ფილმში „ეთერის სიმღერა" (1956 წ). ასევე მიწვეული იყო ერთ-ერთ მთავარ როლზე ფილმში „ნინო", მაგრამ ორი ბატონის მსახურება შეუძლებელი აღმოჩნდა. საბოლოოდ მან ქართულ ცეკვას და მის პოპულარიზაციას მიუძღვნა მთელი თავისი ცხოვრება.

თენგიზ უთმელიძის სახელს ატარებს საერთაშორისო და ადგილობრივი ფესტივალების ლაურეატი, ბავშვთა სანიმუშო სახალხო ქორეოგრაფიული ანსამბლი „ივერიელები", რომლის ხელმძღვანელია ცნობილი პოეტი და ქორეოგრაფი რეზო ბერაძე (რაჭველი).

თენგიზ უთმელიძე — საქართველოს სახალხო არტისტი და „ღირსების ორდენის" კავალერია, დაჯილდოებულია „ქართული კულტურის ამაგდარის" მედლით, მინიჭებული აქვს „კულტურის რაინდის", სრულიად საქართველოს ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ჩოხოსანი რაინდის წოდებები და დაჯილდოვებულია რაინდის ჯვრით და „ქართული ქორეოგრაფიის რაინდის" ორდენით, არჩეულია ფაზისის სამეცნიერო და საერო აკადემიის ნამდვილ წევრად, არის საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.

თენგიზ უთმელიძე მრავალმხრივი ნიჭიერებით დაჯილდოებული მოღვაწე და პიროვნებაა. იგი 55 წელზე მეტია უხმაუროდ, ჭეშმარიტი რაინდის ძალმოსილებით და პასუხისმგებლობით იღწვის და მრავალ ეროვნულ საქმეს დღესაც უანგაროდ, სიყვარულით და პროფესიონალიზმით აკეთებს. განუზომელია მისი ღვაწლი არა მარტო ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების არნახული აღზევებისა და მსოფლიო პროპაგანდის საქმეში, არამედ მთლიანად ქართული კულტურის წინაშე.

ცალკე უნდა აღინიშნოს თენგიზ უთმელიძის ფოტოშემოქმედება, რომელსაც საქმეში კარგად ჩახედული, მაღალპროფესიული ოსტატის ხელი ატყვია.

2000-2018 წლებში თენგიზ უთმელიძის პერსონალურმა ფოტოგამოფენებმა თითქმის მთელი საქართველო მოიარა. საგამოფენო დარბაზები მუდამ სავსე იყო სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანებით. დამთვალიერებლები აღტაცებას ვერ ფარავდნენ ფოტოებში გაცოცხლებული ჩვენი თვითმყოფადობის ერთი უმშვენიერესი გამოხატულების – ქართული ცეკვის გამო, რომელმაც ხელოვნების უმაღლეს მწვერვალებს მიაღწია და განაცვიფრა მთელი მსოფლიო. თენგიზ უთმელიძის გადაღებულ ფოტოებს ყოველთვის სხვა ძალა და ანდამატი აქვთ. არა მარტო მათთვის, ვისაც მათი დახედვისაც 60-იანი წლების უმდიდრესი საგასტროლო კალეიდოსკოპი გაახსენდება, არამედ ჩვეულებრივი თაყვანისმცემლებისთვისაც, ვისთვისაც ძვირფასია მსოფლიოში სახელგანთქმული ანსამბლის სახელი, მისი ხელოვნება, მისი შემოქმედებითი გზა. ეს იმიტომ, რომ ყოველ ფოტოს დიდი სიყვარულისა და საოცარი უშუალობის ბეჭედი აზის, დაკვირვებული თვალიც კი ვერსად შენიშნავს მყისიერი ეფექტის მაძიებელ ცდუნებას.



რაც ყველაზე დასაფასებელია, თენგიზ უთმელიძემ შექმნა უმდიდრესი ფოტომატიანე, შეჩერებულ წამებად აღნუსხული შემოქმედებითი ცხოვრების, მეგობრული შეხვედრებისა და მოგზაურობის სიხარულის მდიდარი მატიანე.

თენგიზ უთმელიძე რამდენიმე წიგნის ავტორია, რომლებიც ეძღვნება ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის ქართულ ნაციონალურ ბალეტს. იგი სისტემატიურად ქმნიდა საკუთარ ლექსებს პარტნიორებისადმი. განსაკუთრებით შთამბეჭდავია მისი ლექსები ლატავრა ფოჩიანზე, მანანა აბაზაძეზე, ფრიდონ სულაბერიძეზე, იამზე დოლაბერიძეზე, თამაზ კიკალიშვილზე, ნინო კირვალიძეზე, ჯუმბერ ბერაძეზე და სხვებზე.

რაც შეეხება ლექსს „ტრიუმფი", მან იგი მიუძღვნა „სუხიშვილების" ანსამბლის ტრიუმფალურ გამოსვლას „ლა—სკალაში", სადაც მსოფლიოში სახელგანთქმული საოპერო თეატრის სცენაზე ანსამბლმა ორი კონცერტი გამართა და უდიდესი წარმატების ნიშნად, მქუხარე ოვაციების ქარიშხალში 14-ჯერ აიწია ფარდა...

2018 წლის 9 ივნისს თბილისის ფილარმონიის საკონცერტო დარბაზის წინ გაიხსნება თენგიზ უთმელიძის ვარსკვლავი, რომელიც მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. ამით ქართველი ერი მადლობას უხდის შემოქმედს და კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენლებთან ერთად გულწრფელ სიყვარულსა და პატივისცემას გამოხატავს მისი უკვდავი შემოქმედების მიმართ

**ელგუჯა მგელაძე**
მწერალი

**„საერთო გაზეთის"** რედაქცია, თავის მკითხველებთან ერთად, დიდი სიყვარულით და პატივისცემით ულოცავს ბატონ თენგიზს 80 წლის იუბილეს და დიდხანს სიცოცხლეს და შემოქმედებით წარმატებებს უსურვებს.

# რესტორანი „ივერონი – ხინკლის სახლი“

რუსთაველის გამზირზე მდებარე რესტორანს „ივერონი – ხინკლის სახლი“. უკვე ორი წელიწადია დარგის ლიდერის წოდებით აჯილდოებენ. მძლავრი კონკურენციის პირობებში და კულინარიის ისეთი ტრადიციების მქონე ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ეს ადვილი არ უნდა იყოს. მაგრამ ამას აზერხებს „ივერონი – ხინკლის სახლი“ მისი ხელმძღვანელის ქალბატონი ნინო თევდორაშვილის თაოსნობით.

რესტორანი დახვეწილი დიზაინით გაფორმებული ინტერიერით, მომსახურების მაღალი დონით, პროფესიონალი მუსიკოსებით ყოველ დღე დღესასწაულს სთავაზობს სტუმრებს.

მიბრძანდით რესტორან „ივერონი – ხინკლის სახლში“. იქ ხელსაყრელ ფასად უგემრიელეს კერძებს მიირთმევთ, შესანიშნავად მოგემსახურებიან და დაუვიწყარ დროსაც გაატარებთ.

**რესტორანი „ივერონი – ხინკლის სახლი“**

ვარდების მოედანზე, სასტუმრო „რედისონის“ წინ.



# წამალი „სალხინო“ ქართული ფლორის საოცრება

პრეპარატს ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

კომპლექსური თერაპიის დროს გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების, პირის ღრუს, სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების: ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისთვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.




# ჭრელი სვეტი



## ბრაუნინგი რეფორმების წინააღმდეგ

ბრაუნინგი M-1900 დერინჯერის შექმნიდან ნახევარი საუკუნის შემდეგ შეიქმნა დედამიწის მეორე ბოლოში — ავსტრიაში და მაშინვე გახდა პოპულარული არმიის ოფიცრებსა და ჟანდარმებს, ასევე ტერორისტებსა და მძარცველებს შორის, რადგან მას შეეძლო შვიდი გასროლის განხორციელება, იყო პრაქტიკულად შეუფერხებელი და, ამასთანავე, საკმაოდ კომპაქტურიც.

საბედისწერო სახელი პისტოლეტმა 1911 წლის აგვისტოში შეიძინა, როცა რუსმა ანარქისტმა დმიტრი ბოგროვმა ესროლა რუსეთის პრემიერ-მინისტრს, რეფორმატორ პიოტრ სტოლიპინს, რის შედეგადაც იგი რამდენიმე დღეში გარდაიცვალა. სხვათა შორის, ეს თავდასხმაც თეატრში განხორციელდა.

## „ეი, მისტერ ლენონ!“

ჩვენი გმირი კვლავ პატარა ჯიბის პისტოლეტია. ამჯერად რევოლვერი „ანდერკოვერი“, რაც ითარგმნება, როგორც „საიდუმლო“, „იდუმალი“. მისი მწარმოებელია ამერიკული ფირმა „ჩარტერ არმსი“, რომელიც ჯონ კენდდის მკვლელობიდან ერთი წლის შემდეგ დაარსდა.

როგორც „ფილადელფია დერინჯერი“, „ანდერკოვერიც“ სიმსუბუქით, კომპაქტურობით, შეუფერხებლად მუშაობით და სიიაფით გამოირჩეოდა.

1980 წლის 8 დეკემბერს მარკ დევიდ ჩეპმენმა, 25 წლის ჰონოლულუელმა დარაჯმა, ამ რევოლვერიდან გასროლით ბრიტანელი როკ-მუსიკოსი ჯონ ლენონი მოკლა. მოგვიანებით ჩეპმენმა აღიარა, რომ თუ ლენონის მოკვლას ვერ მოახერხებდა, იგი დევიდ ბოუის ან ელიზაბეთ ტეილორის მოკლავდა.

ამჟამად ჩეპმენი უვადო პატიმრობაშია. მკვლელობის იარაღის ბედი უცნობია.

## იტალიელი – იტალიელის წინააღმდეგ

ნახევრად ავტომატური პისტოლეტი „Taurus PT92“, რომელსაც ბრაზილიური იარაღის მწარმოებელი ერთ-ერთი ფირმა უშვებს, იტალიური „ბერეტას“ პრაქტიკულად ზუსტი ასლია. ბრაზილიელებმა ბევრი იმუშავეს, რათა თავიანთი პოლიციის საჭიროებებისთვის მაქსიმალურად მიეახლოებინათ და ამიტომ ამ იარაღს უკვე თავისად თვლიან. მაგრამ, მაინც, ყველაზე ცნობილი მსხვერპლი, რომელიც ამ იარაღიდან მოკლეს, იტალიელია.

1997 წლის 14 ივლისს, თავისი ფეშენებელური სახლის ზღურბლზე, მაიამიში, პისტოლეტ „Taurus PT92“-იდან ორი გასროლით თავში მოკლეს მსოფლიოში ცნობილი მოდლიერი ჯანი ვერსაჩე.



ჯანი ვერსაჩეს სახე ტყვიებისგან იმდენად იყო დასახიჩრებული, რომ ბევრი ლეგენდის და ჭორის საბაბი გახდა, ერთი მათგანის მიხედვით, ცნობილი კუტურიე ცოცხალია და ასე ორიგინალურად ჩამოშორდა საქმეებს...

## გამოქვაბულის სკოლები ჩინეთში

ნუ განცვიფრდებით ჩინეთის ეკონომიკური სასწაულებით, რადგან, რაც ხდება ერთ სოფელში, მიანიშნებს იმაზე, თუ როგორი მძაფრი მისწრაფება აქვთ ჩინელებს განათლებისადმი. გუიჯოუს პროვინციაში უნიკალური სკოლა არსებობს. 1984 წელს აქ პირველი სკოლა გაიხსნა და რადგან სკოლის ასაშენებელი ადგილი გადატვირთულ ქალაქში ვერ მოიძებნა, სასწავლო დაწესებულება ახლომდებარე გამოქვაბულში გახსნეს. აქ არის უახლესი ტექნიკით აღჭურვილი კლასები, სპორტული დარბაზები და დასასვენებელი ზონაც. დასაწყისში სკოლა ერთი კლასისთვის იყო განსაზღვრული, ახლა აღსაზრდელთა რაო-



დენობა 186-ს აღწევს. სკოლა ფართოვდება მიუხედავად იმისა, რომ გუიჯოუს პროვინციის მაცხოვრებელ ბავშვებს გამოქვაბულში განთავსებულ სკოლაში მისასვლელად 6 საათი სჭირდებათ.

## მცურავი სკოლა კამბოჯაში

შემდეგი საოცრება წყალზე აგებული სკოლაა, თუმცა კამბოჯაში ეს არავის უკვირს ისე, როგორც წყალზე აგებული სახლები და მაღაზიები.

მცურავ სკოლაში 60 ბავშვი სწავლობს, მათ შორის 40 ობოლია. ეს ის ბავშვები არიან, რომელთა მშობლები თევზაობის დროს დაიღუპნენ. სკოლაში ერთი დიდი საკლასო ოთახია, სადაც მოსწავლეები სწავლობენ და თავისუფალ დროსაც ატარებენ. სკოლაში ბავშვები სპეციალური ვარცლებით დადიან, რომელიც ნავს მოგაგონებთ.

## ღია სკოლა კოპენჰაგენში

ეს სკოლა ნამდვილად შეიძლება ჩაითვალოს თანამედროვე არქიტექტურული ხელოვნების ნიმუშად, თუმცა აქ სწავლა სრულიად განსხვავდება ჩვეულებრივი სკოლებისგან. სკოლა საერთოდ არ არის შიგნიდან გადატიხრული. სკოლის შუაგულში ერთი დიდი კიბეა, რომელიც შენობის ერთ მხარეს მეორესთან აკავშირებს. კლასებში რბილი სავარძლები და ტყავის ე. წ. „პუფები“ დგას, აქ ბავშვები ისვენებენ და საშინაო დავალებებს ასრულებენ.

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.
აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983